140
1995

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

# 95

რა იისფერი თმები აქვს ზამთარს,
და რა მსუბუქი ფრთები აქვს ზამთარს...
თეთრი და სათნო, თეთრი და სათნო,
ზამთრის სიმღერა თოვლისფრად გვათოვს;
ეს გაუმარჯოს თამარს და დათოს,
მამუკას, ზაზას, ხათუნას, თეას,
თეთრი და თეთრი სიმღერის თვეა,
თეთრი სიმღერა თოვლისფრად გვათოვს...
ნეტა სულ ასე ლამაზად თოვდეს,
ზამთარი თოვლის სიმღერას ქსოვდეს,
და სულში თეთრი სიმღერა ქროდეს.

საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“
1995 წ. დეკემბერი
გამოდის 1926 წლიდან

# ნომრის შინაარსი

მადლიერებითა და იმედით ---------- 1
ნატვრის თვალი რომ მქონდეს... ---------- 2
მგლები (მოთხრობა) ---------- 3
თქვენი თანატოლი ბიზნესმენი ---------- 6
ცხრაკლიტული ---------- 7
მოიმარჯვე ფერები, ფანქრები და ხატე ---------- 8
იზარდე, მწვანე ჯეჯილო ---------- 9
საშობაო პერანგი (ლეგენდა) ---------- 10
ყოველმხრივ შემკული ---------- 12
მფრინავი ობიექტები, უცხოპლანეტელები, ჰუმანოიდები ---------- 14
იაპონური პოეზია ---------- 16
თოვს, თოვს, თოვს... ---------- 17
კითხვა – თქვენი, პასუხი – ჩვენი ---------- 18
მსოფლიოს კიდით კიდემდე ---------- 19
ჯუნ რი, ტაეკვონდოს დაუმარცხებელი გრანდოსტატი ---------- 20
გიორგი ქართველიშვილი ---------- 22
დეტექტიური თავსატეხი ---------- 23
იწილო-ბიწილო ---------- 24

მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი
მხატვარი-რედაქტორი გაიოზ თოცხიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ქეთევან ცაბაცაძე

დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში
რედაქციის მისამართი5 3744986 თბილისი, კოსტავას ქ. №14
ტელეფონები5 83-31-71, 83-17-74
ფასი სახელშეკრულებო

# მადლიერებითა და იმედით

კარგა ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ კვლავ მოხერხდა „ნაკადულის“ გამოცემა, მოხერხდა პირველ რიგში იმ ადამიანთა წყალობით, ვინც მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც ამოგვიდგა მხარში. დიახ, ჟურნალის ეს ნომერი თითქმის მთლიანად ქველმოქმედების ნაყოფია. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებიც შემოუერთდებიან თავის ხმა რედაქციის თანამშრომლებს, რომლებიც დიდ მადლობას მოახსენებენ უწმინდესს ყოვლისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II, საპატრიარქოს ამ ნომრისთვის საჭირო ქაღალდის სრულიად უსასყიდლოდ ბოძებისათვის, მადლობას მოვახსენებთ ნომრის მხატვრებს, გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა ავტორებს, რომლებმაც „ნაკადულის“ სასარგებლოდ უარი თქვეს კუთვნილ ჰონორარზე, მადლობას მოვახსენებთ საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ სტამბის დირექტორს ბ-ნ ელვარდ ჯოღერდიშვილს, რომლის თანადგომამ დიდი სამსახური გაგვიწია. მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც მცირედით მაინც შეეწია ჟურნალის გამოცემის საქმეს.

ჩვენ, რედაქციის თანამშრომლები და ჟურნალის მესვეურები, კვლავაც არ დავაკლებთ ცდას, რათა „ნაკადულის“ თვალი არ დაიშრიტოს, მაგრამ თუ ჩვენს მალისხმევას სხვებისაც არ შემოუერთდა, ალბათ ბევრს ვერაფერს გავხდებით. იმედი გვაქვს, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მოახერხებენ და ხელს გამოიღებენ საყმაწვილო ჟურნალის დასახმარებლად. ამის იმედს კი გვაძლევს თუნდაც „ნაკადულის“ ორი მუდმივი მკითხველის — ლელა და ალექსი კედელაშვილების მშობლების მაგალითი. ოჯახის მამა, ბატონი რობერტი რედაქციაში გვეწვია, მოგვიბოდიშა, ჩვენი ოჯახის მიერ გაღებული თანხა იქნებ მოკრძალებულიც იყოს, მაგრამ გვესმის, რომ ასეთ დროს ნებისმიერი დახმარება სასიკეთოდ წაადგება ჟურნალსო, დაგვაიმედა მომავალშიც თქვენს შემწედ იგულვეთ ჩვენი ოჯახიო და ღიმილით დაგვემშვიდობა. დიდი მადლობა, ბატონო რობერტ, მთელ თქვენს ოჯახს!

გვჯერა, რომ წელში გავიმართებით, „ნაკადულის“ რეგულარული გამოცემის საქმეც აეწყობა და ჩვენს მოზარდებს, ყმაწვილებს მისი სახით კვლავაც ექნებათ სულიერი საზრდო.

20635

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნატვრისთვალი რომ მქონდეს ...

გიორგი გუდაძე, *თბილისის მე-40 სკოლა, X კლასი:*

- პირველ რიგში საქართველოს ერთიანობას და მშვიდობას ვინატრებდი: ვინატრებდი, რომ ჩემ თბილისს ძველი ელფერი დაბრუნებოდეს, ღიმილი, ხალისი და სიკეთე დაბრუნებოდეთ თბილისელებს, ასე რომ შვენოდა თითოეულ მათგანს. ვინატრებდი საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მინდა, რომ ხალხს აღარ ჰქონდეს ხვალინდელი დღის შიში, ქართველებს გაუჩნდეს ერთმანეთისთვის კეთილი საქმის კეთების სურვილი...

ნინო ბროლაძე, *თბილისის 23-ე სკოლა, VII კლასი:*

- რას ვინატრებდი და იარაღის გაქრობას, საერთოდ აღარ იყოს დედამიწაზე არანაირი იარაღი, არასდროს დამავიწყდება ომი რუსთაველის პროსპექტზე, ვიღაც დაჭრილი გვარდიელი ჩვენს ეზოში შველას რომ ითხოვდა. ნეტავ, ყველა გარდაცვლილი გაცოცხლდებოდეს...

გიორგი ელიავა, *თბილისის 55-ე სკოლა, V კლასი:*

- მე ძალიან მიყვარს ცხოველები და მინდა, როცა გავიზრდები, ზოოლოგი ვიყო. ნატვრისთვალი რომ მქონდეს, ვინატრებდი პატარა სახლს ქალაქგარეთ, სადაც ცხენები და ძაღლები მეყოლება. კიდევ ვინატრებდი, რომ ჩემმა ბებიამ დიდხანს იცოცხლოს... წავიკითხე წიგნები დიდ მეზღვაურებზე, რომლებშიც აღწერილია ჯეიმს კუკის, ლაპერუზას და სხვების მოგზაურობა, მეც ძალიან მინდა ზღვაზე ვიმოგზაურო და ნატვრისთვალს ამასაც ვთხოვდი.

სალომე მაჩაბელი, *თბილისის 35-ე სკოლა, XI კლასი:*

- დიდი სურვილი მაქვს სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარო, ამიტომ ნატვრისთვალი რომ მქონდეს, ვინატრებდი ჩვენც გვქონდეს ისეთი უმაღლესი სასწავლებლები, როგორიცაა, ვთქვათ, ოქსფორდი ან კემბრიჯი, რათა ახალგაზრდობას შეეძლოს სრულყოფილი განათლების მიღება. რა თქმა უნდა, ვინატრებდი მშვიდობას, რადგან ამის გარეშე ვერც ვისწავლით და ვერც მომავალს ავაშენებთ.

ანა ბეჟანიშვილი, *თბილისის მე-11 სკოლა, I კლასი:*

- ვინატრებდი სადედოფლო კაბას, ბარბის, ისეთს ფეხები რომ ელუნებოდეს, მამიკოსთვის მანქანას, კიდევ ის მინდა, რომ დედიკო არასდროს არ გახდეს ავად.

ლევან სვანიძე, *თბილისის 161-ე სკოლა, V კლასი:*

- მინდა გავხდე ძალიან მდიდარი, მქონდეს ბევრი ფული, მაშინ ლამაზ სამსართულიან სახლს ვიყიდიდი.

ნინო კაკანაძე, *თბილისის 166-ე სკოლა, X კლასი:*

- რატომღაც ასე მგონია, ნატვრისთვალი მეოცნებე ადამიანის გამოგონებული უნდა იყოს. „ნატვრისთვალი" - ამ სიტყვის ხსენებაზე ყოველთვის შენთვის ყველაზე სანუკვარი, მიუწვდომელი წარმოგიდგება ხოლმე, ანუ რაც მხოლოდ მაშინ აგიხდებოდა, თუ ხელში რაღაც ჯადოსნური ქვა ჩაგივარდებოდა, ყველა შენი სურვილის თუ ნატვრის ასრულება რომ შეეძლებოდა. ალბათ არ არსებობს ადამიანი, ერთხელ მაინც რომ არ ენატროს ნეტავ ნატვრისთვალი მქონდესო! მე რომ ნატვრისთვალი მქონდეს... ვინატრებდი ყოველგვარი სიბინძურის, ბოროტებისაგან განწმენდილ დედამიწას, უამრავ ღიმილიან სახეს...

ირაკლი ცანცაშვილი, *თბილისის 55-ე სკოლა, V კლასი:*

- ვინატრებდი ექიმობას. ექიმი იმიტომ მინდა ვიყო, რომ თუ ჩვენ ოჯახში ვინმე ავად გახდება, ვუმკურნალო, ვუშველო ყველა ავადმყოფს საერთოდ. ძალიან მინდა მყავდეს ძაღლი, ცხენი, კატა და პატარა ცხოველები. მგონია, რომ ეს ნატვრები ამისრულდება.

ბექა ბოლოკაძე, *თბილისის 155-ე სკოლა, IX კლასი:*

- მე რომ ნატვრისთვალი მქონდეს, აუცილებლად ვინატრებდი ძალიან დიდ, ისეთ სიყვარულს, არსად, არცერთ გულში რომ არ ეტევა. როგორ სჭირდება ეს სიყვარული ახლა თითოეულ ჩვენგანს, თითოეულ ქართველს. ვინატრებდი, ისეთი საქართველო გვქონდეს, ისტორია რომ გვიყვება - ამაყი, ძლიერი, ლამაზი, მშრომელი, მხრებგაშლილი და არა ჩიტივით გალიაში გამომწყვდეული, დღეს რომ არის. სიმართლესა და სამართლიანობას ვინატრებდი ... კიდევ, იცით რას ვინატრებდი? ალბათ გაგეცინებათ, მაგრამ ვინატრებდი უამრავ ნაყინს და შოკოლადს, მარტო ჩემთვის კი არა, ყველა ჩემი თანატოლისთვის.

გიორგი ლომიძე, *თბილისის 123-ე სკოლა, V კლასი:*

- გაგრაში მინდა წასვლა... ნეტავ აფხაზეთი დავიბრუნოთ და მშვიდობა იყოს. მეტს არაფერს ვინატრებ.

დავით დარჩია, *ჯარდაბნის მე-5 სკოლა, V კლასი:*

- ვინატრებდი საქართველოს ბედნიერებას, ჩემიანების და ჩემი ძაღლის მიმის კარგად ყოფნას.

იულია ტყეშელაშვილი, *თბილისის მე-60 სკოლა, VI კლასი:*

- მე გავიგე, რა საშინელება ყოფილა ომი... ნეტავ საქართველოში აღარასოდეს გაჩნდეს ომი, იყოს მშვიდობა... ბავშვებს შოკოლადი არ ენატრებოდეს... მინდა ოპერის სცენაზე გამოვიდე და ვიმღერო. ძალიან მიყვარს ჩემი მშობლები და მინდა დიდხანს ვიყოთ ერთად.



## ვლადიმერ ასლამაზიშვილი

# მგლები

*მოთხრობა*

ძაღლებმა დიდხანს სდიეს ალაზნის ჭალაში. მათი ყეფა-გნიასი შორს ისმოდა. დროდადრო თოფიც დაიქუხებდა ხოლმე. წიოდა სიკვდილის მოციქული ტყვია. საბედნიეროდ, შველს არცერთი არ გაჰკარებია, უვნებელი რჩებოდა.

მაინც გარბოდა. შიშით დაფეთებული წაქცეულ, ტოტებნალეწ ხეებსა და ბუჩქებს მაღლიდან ფრინველივით ევლებოდა. დაბურულ ბარდებში ძვრებოდა, მერე უცბად შედგებოდა, უკან თავმობრუნებული, ყურებდაცქვეტილი და სმენადაძაბული. ლამაზი, შიშჩამდგარი დიდრონი თვალებით იმ მხარეს იხედებოდა, საიდანაც ის-ის იყო ქარივით მოვარდა, იდგა, ისევ გასაქცევად შემართულს საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა, ყელა კუნთი უთრთოდა, შავი დრუნჩი მაღლა აეშვირა და ნესტოებდაბერილი ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა. ღიჭიანში ძვრომისაგან დაკაწრული, სისხლგამონაჟონი, თაფლისფერი ბეწვით დაფარული ფერდები საბერველივით აუდიოდჩაუდიოდა. მაგრამ ერთ ადგილას დიდხანს დგომა არ შეეძლო. ნადირზე დაგეშილი ორ-ორი მწევარი სუნით ადვილად აგნებდა. დგებოდნენ კვალში და ფეხდაფეხ მისდევდნენ. ყეფით იკლებდნენ ჭალას, აფრთხობდნენ ნადირ-ფრინველს, ზოგი სად აფარებდა თავს, და ზოგი სად. შველს კი არ შეეძლო ძაღლებისგან თავის დაღწევა. იმათ პატრონის გარდა ველარავინ მოაცილებდა მსხვერპლს, მოკვდებოდნენ და არ დაეხსნებოდნენ, ვიდრე დევნისგან დაღლილსა და ილაჯგაწყვეტილს სადმე არ მიიმწყვდევდნენ, ვიდრე კბილს არ გაჰკრავდნენ, ლაშებს არ შეიღებავდნენ იმისი სისხლით.

მათ პატრონს, დასტამბოსავით წითურ პირისახიან მონადირეს ჭროლა თვალები მსხვერპლს ადევნებული ტურასავით დაეცეცებინა და თოფმომარჯვებული ცდილობდა დიდი მანძილით არ ჩამორჩენოდა ძაღლებს, გინებით მისდევდა და თვითონაც ძაღლივით აღრენილი იყო, რადგან წინ ათასგვარი დაბრკოლება – ერთმანეთში გაბმული ხის ტოტები, ბუჩქები, ეკალ-ბარდები ხვდებოდა. გული მოსდიოდა, მასაც ძაღლივით ძვრომა რომ არ შეეძლო. ძაღლებს ადევნებული ერთი-ორჯერ ღელეში ჩაიჩეხა, ჯირკებსა და ქვებზე მუხლები გადაიყვლიფა, სადღაც ხის ტოტმა ქუდი მოაძრო, ვეღარ იპოვა. წაქცეული გინებით დგებოდა ფეხზე და ისევ იმ მხარეს მიისწრაფოდა, საიდანაც ძაღლების ყეფა მოისმოდა. მიდით, მიდითო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა მათ გასამხნევებლად.

გარბოდა შველი.

მისდევდნენ ძაღლები.

ჭალა თანდათან შეთხელდა. უკან დარჩა მაღალი ხეები.

წვრილიანში უფრო გაუიოლდა სირბილი შველს.

ძაღლებმაც იგრძნეს შვება. აღარ უხდებოდათ ბარდებში ძვრომა. აღარც კვალის მისაგნებლად ფერხდებოდნენ. შველსა და მათ შორის მანძილი საგრძნობლად შემცირდა. მსხვერპლს ხედავდნენ და ახლა ავისმომასწავებელ ყეფაში მხიარულ წკავწკავსაც გამოურევდნენ დროდადრო.

შველი და ძაღლები მწვანით გადაბიბინებულ, მზით განათებულ მინდვრიანზე გავიდნენ. იმას იქით არც ტყე იყო, არც ბუჩქნარი, მინდვრის ბოლოს მუდამ დინჯი, დამდოვრებელი ალაზანი მიედინებოდა.

ძაღლები ალღოთი მიხვდნენ, რომ მათ მსხვერპლს გზა მოჭრილი ჰქონდა. ერთმა მარჯვნიდან დაუარა, მეორემ – მარცხენა მხრიდან, შველს მარტო მდინარისკენ ჰქონდა გასაქცევი გზა. ჰოდა, იქითკენ მიჰქროდა ისარივით. ძაღლების სიახლოვით გადარეული ნახტომს ნახტომზე აკეთებდა, გარბოდა თავდავიწყებით.

უცებ მის წინ ფლატე გაჩნდა. დაბლა ზაფხულის თაკარა მზით გაბრწყინებული წყალი ლივლივებდა. იმას იქით ვენახებს გადაელურჯებინათ ალაზნის ველი. შველი ფლატესთან შედგა. უკან მიიხედა. ძაღლები სწრაფად უახლოვდებოდნენ. პირაღრენილებს წითლად მოუჩანდათ გარეთ გადმოგდებული, გვერდზე მოქცეული დორბლიანი ენები. მორბოდა მონადირეც.

მახე თანდათან საშინლად ვიწროვდებოდა. შველს ყველა გასაქცევი გზა მოჭრილი ჰქონდა. მალე გავეშებულ ძაღლებს უნდა ჩავარდნოდა პირში, წითურ მონადირეს თოფი სასროლად მოემარჯვებინა, წამიც და სასხლეტს დაუშვებდა. შველმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ოდნავ უკან დაიწია, წელი მშვილდივით მოხარა და ფლატედან ალაზანში გადაეშვა. მდინარეში წყალი ადგაფუნდა, ჩქერები შადრევანივით აისვეტა. როცა წყალი დაწყნარდა, შველს მარტო სველი, გაწუწული თავი მოუჩანდა, მეორე ნაპირისაკენ მიცურავდა სწრაფად.

ძაღლები ფლატესთან მიცვივდნენ. და იმისთანა წკავწკავი ატეხეს, გეგონებოდათ, ვინმე კეტით დაერიაო. აწრიალდნენ, მდინარის გასწვრივ გარბოდ-გამორბოდნენ, წყალში იყურებოდნენ და გამწარებით იყეფებოდნენ. ვერცერთ მათგანს ვერ გაებედა ფლატედან მდინარეში გადახტომა.

მოირბინა წითურმა მონადირემაც. სახე გიჟივით შეშლოდა, ჭროლა თვალები ისე გადიდებოდა, ლამის ბუდეებიდან ამოსცვენოდა. თფუიო! – ჯავრით გამოაფურთხა. მერე გაილაჯა, თოფი შველისკენ გაიწოდა, ორჯერ ზედიზედ დაადევნა ტყვია; სიჩქარისგან მიზანში ვერ ამოიღო. ორივე დააცილა, რადგან შველი ისევ მიცურავდა. წითურმა შეიგინა. კბილების კრაჭუნით თოფის ლულიდან ცარიელი მასრები ამოყარა, სხვები ჩააწყო. კვლავ დაუმიზნა შველს, მაგრამ აღარ უსვრია, მოუთმენლად დაუწყო ლოდინი, რომ მდინარიდან ამოსულიყო და ნაპირზე შეედგა ფეხი. მაგრამ იმედი გაუცრუვდა. შველი მონადირისგან ხელმარცხნივ წყლის დინებას მიჰყვა, ნაპირებს გადმოკიდებული მაყვლის ბარდებისაკენ გაცურა და თვალს მიეფარა.

წითურამ დამიზნებული თოფი დაუშვა. ალაზნის ნაპირს სირბილით დაუყვა.

ვიდრე მონადირე იმ ადგილზე მიირბენდა, საიდანაც მისი ვარაუდით კარგად უნდა გამოჩენილიყო ნაპირზე გასული შველი, ის უკვე გამქრალიყო, მდინარის პირზე გალაღებული ჩალებს გაეუჩინარებინა.

შველი ჭალებში ერთ წუთსაც არ გაჩერებულა. ვენახებისკენ განაპირდა. ძაღლებისა და მონადირის თოფით თავდატეხილ შიშს უზომო ტკივილიც დართვოდა ზედ. ტყვიას კისერზე ტყავი გაეგლიჯა და სველი ბალნიდან ჩამონაწრეტ წყლის წუწს ვარდისფერი სისხლის წვეთები მოსდევდა, გულისპირი წითლად ელებებოდა.

მალე შველმა ვილაცის ვენახში ამოჰყო თავი. ვაზის ორ რიგს შუა, მწვანე დერეფანივით ზემოთ და ზემოთ რომ გაჭიმულიყო, სირბილით გაუყვა. რომც სდომებოდა, გვერდზე ვერ გადაუხვევდა. აქეთიქიდან ბეტონის ბოძებზე მაგრად დაჭიმული ჟანგმოდებული მავთულები და ზედ აბმული ვაზის ლერწები ელობებოდა. მასაც მეტი რა ჩარა ჰქონდა, უნდა ერბინა, ერბინა მანამდე, ვიდრე სამშვიდობოს არ გააღწევდა.

შველმა ლამის ვენახის თავამდე ირბინა. მერე საით იზამდა პირს, ვინ იცის, რომ ახალი ელდა არ გამოსტყრომოდა. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, წინ იმ ვენახის პატრონი შემოეფეთა. მაღალი, მზისგან გაშავებული, ჭაღარა კაცი იყო. ხელში ვაზის შესაყელად სიმინდის ფუჩეჩი მოემარჯვებინა. კაცი გაოცებული შეჰყურებდა დაჭრილ, გასისხლიანებულ შველს.

მაშინ კი უმტყუნა ძალ-ღონემ ტყურს. სასოწარკვეთილმა დაიკვნესა, ძაღლების დევნით ილაჯგაწყვეტილს მუხლი მოეკვეთა. მთელი ტანით აკანკალდა, ჯერ წინა ფეხებზე ჩაიჩოქა, მერე უკანა ფეხების სახსრები მოეშვა და ძირს დაეცა. იქნებ იფიქრა, ჩემი საშველი აღარ არისო და თავი საბრალოდ ჩაქინდრა, ყურები ჩამოყარა, თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა.

– ეს რას ვხედავ! – წაილაპარაკა გაკვირვებულმა კაცმა და შველთან ჩაიმუხლა, ნატყვიარ კისერზე დახედა. ჭრილობიდან ისევ მოსწვეთავდა სისხლი.

კაცის გვერდით უცებ თერთმეტ-თორმეტიოდე წლის ბიჭიც გაჩნდა. ვაზებში გამოძვრა. მოკლემკლავება პირისფერი ხალათი ეცვა. სახესა და მკლავებზე მზე მოჰკიდებოდა, ცალ ხელში მასაც ვაზის ასახვევად სიმინდის ფუჩეჩი ეჭირა. მოულოდნელობით გაკვირვებული, თვალებად ქცეული ბიჭი შველს დააცქერდა, საიდან მო-

# მგლები

(გაგრძელება)

ვიდაო, თქვა და კაცის გვერდით ჩაცუცქდა. სიბრალულით ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიქცია, შეწუხდა, გამხდარი ხელის თითები შველს სველი ბალნით შემოსილ ზურგზე გადაუსვა.

- დაჭრილია? - ჩუმად იკითხა ბიჭმა.

- ხო, დაჭრილია! - გაეპასუხა კაცი.

- სველი რატომღაა, მამა?

- ალაზანი გამოუცურავს! - კაცმა ვენახის ბოლოს გახედა, იმ მხრიდან ისევ მოსიმოდა ძაღლების ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა, - გესმის ძაღლების ღავღავი? წელან თოფსაც ისროდა ვიღაც.

კაცმა სიმინდის ფუჩეჩი შარვალზე შემოჭერილ ქამარში ჩაიჭყუნა, ორივე ღონიერი მკლავი შველს შემოხვია, აყვანა მოუნდომა. კარგი ჭედილასხელა იქნებოდა, ზრდადასრულებული ფური.

- რას უპირებ, მამა? - ბიჭი კაცს შეაცქერდა.

- ბაკში მივიყვანოთ, ჭრილობა შევუხვიოთ!

- მეც მოგეშველები! - ბიჭმა მამას მიბაძა, ფუჩეჩი ქამარში ამოიჩარა.

- მარტო ვზიდავ, არ უნდა იყოს მძიმე, მთავარია, არ დაფრთხეს. შენ წადი, დაწინაურდი, ვირის ბაკს ხრიხალი გააძრე!

ბიჭი ვენახის თავში გაიქცა, სადაც პატარა კრამიტწაფარებული ქოხი ედგათ. ქოხის ახლოს ხეებით შემორაგული ბაკი იყო მოწყობილი. მამა-შვილი ვენახში ვირის „ტაჰკით" დადიოდა. ვიდრე საქმეს მოათავებდნენ, სახედარს რომ არაფერი წაეხდინა, ბაკში ბალახს უყრიდნენ და იქ ამწყვდევდნენ

კაცმა შველი აიყვანა, ისიც დაჰყვა მის სურვილს, ოდნავადაც არ გაუბრძოლია, რომ გასხლტომოდა ხელიდან. ვინ იცის, იქნებ ბედს შეურიგდა და მისთვის სულ ერთი იყო, ძაღლები დაფლეთდნენ თუ ის კაცი მოუღებდა ბოლოს. ვიდრე კაცი და შველი ქოხთან გაჩნდებოდნენ, ბიჭმა ბაკის შესასვლელს ხრიხალი გააძრო, შიგ შეირბინა, ბალახის ჭამით გართულ თეთრ სახედარს მიდექ, მიდექო, შეუძახა, ორივე ხელით გვერდიდან მიაწვა და განზე მიაგდო, შველს ჩონჩორიკისა და შარდისაგან თავისუფალი ადგილი მოუმზადა.

კაცმა ბაკში შეიყვანა შველი, ძირს ჩამოსვა და თვითონ ქოხში შევიდა. ვიდრე ის არაყსა და ჩვარს გამოიტანდა, ბუზებს უკვე ეკრათ სისხლის სუნი, შველს ჭრილობაზე მიეტანნენ. ბიჭი ხელით უგერიებდა აბეზარ მწერებს, თან შველს ეფერებოდა, ნუ გეშინიაო.

კაცმა ბოთლით არაყი და ჩვარი, თეთრი ნაჭრის ნახევი გამოიტანა ქოხიდან. ჩვარი არყით დაასველა და შველს ჭრილობაზე ფრთხილად დაადო. შველი კრთებოდა, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია. სანამ ჭრილობა კარგად არ გაუწმინდეს და არ მოუმშრალეს, კისერი მორჩილად ეჭირა.

შორიდან ვიღაცამ დაიძახა:

- ლუკა, ჰაი, ლუკა!

- რა იყო, აქა ვარ! - გაეხმიანა კაცი და ბუზებს რომ არ შეეღონებინათ, შველს კისერზე ჩვარი შემოახვია. ჭრილობა დაუფარა.

ბაკის ღობეს ლუკას მეზობელი სიმონა გადაეყუდა.

- ვახ, აქ არი, კაცო?! - შესძახა გაკვირვებით.

- რა? - იკითხა ლუკამ.

- შველი!

- ჰო, ღმერთმა გამოგვიგზავნა მე და ჩემს გიორგის, ავი ხელისაგან დაიფარეთო.

- ჩალებიდან რომ გამოვარდა და აქეთ გამოიქცა, ვენახის ბოლოდან შევასწარი თვალი, ოღონდ თქ[illegible]ას თუ მოვიდოდა, ვეღარ ვიაზრე.

- თოფი აქვს ნასროლი, დაჭრილია! - თქვა ბიჭმა.

- კისერზე კანი აქვს გაგლეჯილი. ისე იყო დაღლილ-დაქანცული ეს საცოდავი, სირბილის თავი აღარ ჰქონდა და პირდაპირ ჩემ ფეხებთან წაიქცა - ამბობდა ლუკა.

სიმონა შველთან მივიდა. კისრიდან ჩვარი გადაუწია, ჭრილობას დახედა.

- ბეწვზე დასცდენია, განა არ მესმოდა ალაზნის გაღმიდან თოფის ბათქიბუთქი და ძაღლების ყეფა?!

- ლუკაა! - ახლა სხვამ დაიძახა.

- მოდი, ვახო, მოდი აქეთ! - ლუკას მაგიერ სიმონა გაეხმიანა, - ნახე, სად მოსულა შველი!

ბაკთან წელს ზევით მთლად შიშველი, დათვივით ბალნით გაბანჯგვლული მსუქანი კაცი მოძუნძულდა. წამოტყუპულ ლოყებსა და მარცხენა წარბს მაღლა ნაიარევ შუბლზე ხვითქი გადასდიოდა.

- აი, სად ყოფილა, მე კიდევ ქვევით ვეძებდი! - თქვა მან.

მერე სხვებიც მოვიდნენ. ზოგს ვენახიდან შეესწრო თვალი ალაზნიდან გამოსული შველისათვის, ზოგს საზამთროს ბაღიდან. თვალი მოჰკრეს და ვინ თოხი გააგდო ხელიდან, ვინ რწყვას მიანება თავი. დაუწყეს ძებნა. ჩალებში რომ ვერ იპოვეს, ვენახებს შეერივნენ. ეძებდნენ გაფაციცებით, ალაზნის გაღმიდან გამოქცეული, ძაღლებისაგან დევნილის ხელში ჩაგდების წადილი დაარბენინებდა. როცა შველი ლუკასთან ნახეს, დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულები.

ათამდე კაცი მაინც მოგროვდა სახედრის ბაკთან. გაჰქონდათ ყაყანი:

- რა ლუკმა დაკარგეს გაღმაურმა მონადირეებმა!

- ლუკმა კი არა, მწვადები!

- რამდენი კილო გამოვა?

- ცოცხალი?

- თხუთმეტი-თექვსმეტი მაინც იქნება!

- ვითომ?!

- დაგენიძლავები!

- სუფთა ხორცს რამდენს დაჰყრის?

- ათს, ჰა და ჰა თორმეტს!

- მაგდენი ხარჯი ექნება, კაცო?!

- მაშა, ტყავი, თავ-ფეხი, შიგნეულობა... განა ცოტას იწონის?

ბიჭი გაფაციცებით უსმენდა კაცების საუბარს და უკვირდა, რომ ერთსაც არ შესცოდებია შველი.

- ეხლა რას უპირებ ამას? - შველზე ანიშნა ლუკას იმ კაცმა, წელზევით შიშველი რომ იყო და ვახო ერქვა.

- ვისა? - ვითომ ვერ მიუხვდა ლუკა.

- აემ შველსა, კაცო!

- რა უნდა დავუპირო?!

- მწვადებს არ გვაჭმევ?

- სხვა რაღა მოგინდა? - წამოიძახა ბიჭმა და მამას მიაჩერდა.

- არა! - უარი მიახალა ლუკამ ვახოს.

ბიჭმა მოწონებით თავი დაიქნია, დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

- მა რა გაქ გულში, ლუკავ, გაღმაურებს ხომ არ უპირებ შვლის ჩაბარებას? - გაიცინა სიმონამ.

- ტაჰკით სოფელში ავიყვანთ და ნინოწმინდის ტყეში გავუშვებთ! - თქვა ბიჭმა და ისევ მამას შეაცქერდა, რას იტყვისო.

- გაიგე? - ლუკამ თვალით ანიშნა ბიჭზე სიმონას, - რაც გიორგიმ მოგახსენა, მეც ეგა ვარ!

- რას ამბობთ, კაცო, გაგიჟდით?! - არ მოეწონა მამა-შვილის ნათქვამი ვახოს და სიბრაზისგან სახე წამოენთო, - ე ამოდენა ხალხი მწევარი ძაღლებივით ენაგადმოგდებულები სადღა არ დავძვრებოდით, ამას ვეძებდით, თქვენ კიდევ ამბობთ, ნინოწმინდის ტყეში გავუშვებთო?!

- შენც ნუ ირბენდი, ვინმე გაძალებდა? - მკვახედ მიახალა ლუკამ.

- ლუკავ, უარს ნუ ამბობ, დაგვყაბულდი, ათლიტრიანი ღვინით სავსე დოქი ქაში გრილად მაქ ჩაკიდებული! - თქვა სიმონამ.

- ერთი ხუთლიტრიანი დოქით მეც ჩამოვიტანე შინიდან, პირდაპირ ზიარებაა, იმისთანაა! - მხარი აუბა სიმონას სხვამ.

- დაკალი და მაიშორე, - განაგრძობდა სიმონა, რომ როგორმე დაეყოლიებინა ლუკა, - სულ ერთია, არავინ აბოგინებს მაგას ნინოწმინდის ტყეში. მალე წირვას გამოუყვანენ. ნუ მაიმდურებ ამოდონა მეზობლობას!

ლუკა მაინც ჯიუტად, უარის ნიშნად უქნევდა თავს. ვერა და ვერ დაიყაბულეს. - ხალხო, ნუ გადაეკიდეთ ამ საცოდავს, წადით, საქმეს მიხედეთ და აი, ბიჭს გეფიცებით, კაცი არ ვიყო, თუ ხვალ ბურვაკი არ ჩამოვიყვანო სახლიდან ვენახში, გინდათ თოხლს დავკლამ და იმით ვიქეიფოთ, ოღონდ შველს თავი გაანებეთ! - თქვა ლუკამ ბოლოს, რომ იქნებ მეზობლებს ხელი აეღოთ ავ, უხეირო განზრახვაზე.

- დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქა-

(დასასრული)

თამს მირჩევნიაო! – ეგრე არ არი, ხალხო? – მიუბრუნდა სხვებს ვანო.

– ჰო, ჰო, მაგ შველს არავინ დაინდობს მაინც და ისევ ჩვენ ვიმწვადაოთ, არა სჯობია?! – დაჰკრეს კვერი ვახოს მომხრეებმა.

ლუკა არ გაპასუხებია.

ბიჭს უხაროდა, რომ მამა არ ეთანხმებოდა მეზობლებს.

– მაშ, არ დაჰკლამ შველს, მწვადებს არ გვაჭმევ? – სახე წამოუჭარხლდა ვახოს.

– რა ძალიან მოიწადინა ამ კაცმა, ვაი თუ დაითანხმოს მამა? – გაიფიქრა ყმაწვილმა და სახე მოეღრუბლა, სახედრისთვის მოგროვილი მწვანე ბალახიდან რამდენიმე ბღუჯა აიღო, შველს დაუყარა; იმას პირი არ დაუდვია. ყურებდაცქვეტილი იქით იყურებოდა, საიდანაც ალაზანი გამოცურა.

კიდევ ისმოდა ძაღლების ყეფა.

– შენ გეუბნები, ლუკავ, მა არ დაჰკლამ?! – გაუმეორა უფრო ხმამაღლა კითხვა ვახომ.

იმან მაინც პასუხი არ გასცა, არყისბოთლი ქოხში შეიტანა, უკან ბიჭი მიჰყვა.

– მამა,არ დაგითანხმონ მაგათ, შველი არ გასწირო, თორემ... – გიორგიმ სათქმელი აღარ დაამთავრა.

– თორემ რა?! – გაიღიმა ლუკამ.

– აღარ მეყვარები, შენსას არაფერს ვიწამებ, არ დაგიჯერებ!..

ლუკამ შვილს თმები მოუჩეჩა, გაიცინა.

– მაგრე მიცნობ, ბიჭო?

მამამ და შვილმა ქოხში ფეხი მოიბოძიძკეს, იქნებ მეზობლებიც გაიკრიფნენ თავთავიანთ ადგილებშიო, მაგრამ ისინი ფეხს მაინც არ იცვლიდნენ, არც ლუკა და გიორგი იხედებოდნენ გარეთ. თან ყური ჰქონდათ მიპყრობილი მათკენ. უცებ გარეთ დარჩენილთა ლაპარაკი მიწყდა, ხმას აღარავინ იღებდა.

გარეთ გამეფებული მდუმარება ლუკას ცუდად ენიშნა. გამოხსნა ქოხის კარი და საზარელი სურათი წარმოუდგა თვალწინ მამა-შვილს: ვახო ბაკის შიგნით იდგა, ხელში სისხლიანი ჯიბის დანა ეჭირა და ძირს წაქცეულ, აფართხალებულ შველს სულელური ღიმილით დასცქეროდა. დანით ყელგამოღადრულ შველს ძარღვებიდან სისხლი ორ ტოტად შადრევანივით მოსდიოდა, სახედრის ჩონჩორიკითა და ბალახით მოფენილ მიწას წითლად ღებავდა.

– ეს რა ჰქენი, შე აყროლებულო, ჰა?! – იყვირა ლუკამ და ბაკის ღობესთან მიიჭრა. ღობის მარგილს ორივე ხელით ღონივრად დასწვდა, მარგილს ზედ მიბმული ლატნებიც აჰყვა.

კაცები ლუკას ხელებში ეცნენ, ცოდვა არ დაატრიალოო!

ბიჭი ყელგამოღადრულ შველთან მუხლებზე იდგა, ტიროდა.

– გამიშვით, თავი უნდა გავუხეთქო მაგ ღორს, მაგ უნამუსოს მაგას! – ღრიალებდა ლუკა, ვახოსკენ იწევდა, მაგრამ შვიდ-რვა კაცთან რას გახდებოდა.

– გაუშვით მამას ხელი, გაუშვით! – იყვირა ბიჭმა და სადღაც იღბლად ნაპოვნ სახრეს ხელი სტაცა, ვიღაცას ბეჭებზე გადაჰკრა.

სიმონამ ყმაწვილს სახრე გამოსტაცა.

ძლივს დააშოშმინეს ლუკა.

– კარგი, კაცო, ყელგამოჭრილს რაღა ეშველება, ემაგის გულისთვის ნუ დავემდურებით ერთმანეთს! – ამბობდა სიმონა.

– კაცი ვენახს რომ ამოაგდებს და იმის ნაცვლად საზამთროს გაახარებს, იმას რა ცოდვა-მადლი უნდა მოვკითხო, თფუი, შენისთანა კაცსა! – მიაძახა ლუკამ ვახოს, გამშველებლებს სწრაფად გაერიდა, ქოხიდან ფუჩეჩი გამოიტანა და ბიჭთან ერთად ვენახს მიაშურა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, შეჩერდა, მოტრიალდა და რისხვაჩამდგარი თვალებით მეზობლებს გამოხედა.

– წაიღეთ შველი აქედან. სადაც გინდათ, იქ წაიღეთ, მააშორეთ აქაურობას!

– მგლები! – კბილებში გამოსცრა გიორგიმ და ლოყებზე ჩამოგორებული ცრემლი ხელის ზურგით მოიცილა.

ოთხმა კაცმა ყელგამოჭრილ შველს აქეთ-იქიდან ხელი ჩაავლო და წაიღო.

ლუკამ და გიორგიმ სადილობამდე იმუშავეს ვენახში. რაც სიმინდის ფუჩეჩი ჰქონდათ, ვაზების შეყელვას წაახმარეს, რამდენიმე რიგი დარჩათ შესაყელი. ის დღის მეორე ნახევრისთვის გადადეს და ქოხში დაბრუნდნენ, სანოვაგით სავსე ჩანთა გამოიტანეს, გარეთ, ჭერმის ქვეშ გამართულ ხის მაგიდას მიუსხდნენ, გაზეთი დაფინეს და ზედ პური, ყველი, მწვანილი და მოხარშული კვერცხები დააწყვეს. ლუკამ ხელადიანით ღვინო და ორი ჭიქაც დადგა მაგიდაზე.

სიმონას ვენახიდან კვამლი ამოდიოდა, ცეცხლი გაეჩაღებინათ. ნიავმა შემწვარი ხორცის სუნი მოიტანა, მეზობლები შვლის მწვადს ატრიალებდნენ.

ლუკას დიდხანს ეძახეს, ბიჭი წამოიყვა და ჩვენთან მოდითო. ლუკა არავის გასძრახებია. ის და გიორგი მუნჯებივით ისხდნენ მაგიდასთან. ჭამდნენ ჩუმად, უმძრახებივით. ლუკამ ჭიქებში ღვინო დაასხა, ჭიქა აიღო, ცას ახედა, თითქოს სათქმელს იქ ეძებდა: ღმერთო, უგულო, უნამუსო კაცს, ვისაც ერთი ბეწო სიბრალული არ აბადია, ნუ გაუმარჯვებო, – წარმოთქვა სადღეგრძელო და ჭიქა დაცალა.

ბიჭს ღვინისთვის პირი არ დაუკარებია. უგემურად ჭამა, თვალწინ სულ ყელგამოღადრული შველი ედგა. ნანობდა, მამას ქოხში რომ არ შევყოლოდი, ვახო ამ არაკაცობას ვერ გაბედავდაო.

შორიდან ძახილით რომ ვერა და ვერ დაიყოლიეს, მამა-შვილთან სიმონა გამოცხადდა.

– წამოდით, ხალხო, შეგვირიგდით, ნუ გაბოროტდებით ახლა!

– მამწყდი თავიდან! არც ერთ თქვენგანს გული არ ჰქონია, რა ყელში ჩაგდით იმ საცოდავის ხორცი?! აგე, თვალი გაახილე, საიდან გამოექცათ მონადირეებს. საბრალომ ალაზანი გამოცურა. დაჭრილმა ჩვენამდე ძლივს მოაღწია. ეგონა, დამქომაგებლები ვიპოვნეო და რა ჩაიდინეთ, იმ მძორმა, ძაღლი მიაკვდა მაგის პატრონს სულში, ყელში დანა გამოუსვა! – ბობოქრობდა ლუკა. ისე იყო პირგამეხებული, სტუმარ-მასპინძლობის წესიც დავიწყებოდა, სიმონა მაგიდასთან არ მიუწვევია, ჭიქა არ შეუთავაზებია. თვითონ სიმონამ აიღო გიორგის ღვინით სავსე ჭიქა. – დაიჯერებთ, ხალხო, რომ არც ერთი ნაჭერი მწვადი არ მიჭამია? – თქვა სიმონამ და ჭიქა სულმოუთქმელად, სადღეგრძელოს გარეშე გამოცალა.

ლუკამ ცერად შეხედა მეზობელს, სახეზე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა.

– მაინც რატომ? არ მოგეწონა შვლის მწვადები?

სიმონამ ცარიელ ჭიქებში ხელადიანიდან ღვინო დაასხა.

– შველი მაკე იყო!

– მაკე? – წამოიძახა ბიჭმა.

ლუკამ მუხლზე ხელი დაიკრა, უარესად აემღვრა სისხლი: – ვაი, სირცხვილო?!

სიმონა განაგრძობდა:

– მუცელი რომ გაუჭრეს, ზრდადასრულებული ნუკრი აღმოჩნდა, დღე-დღეზე მოიგებდა ალბათ!

ლუკამ ისე ამოიგმინა, ლამის გული ამოაყოლა.

ბიჭმა ხელში შემორჩენილი პურის ნატეხი მაგიდაზე დადო. ადგა, ვენახს შეერია. ვაზის რიგებს დაუყვა. არ უნდოდა იმ კაცისთვის ესმინა, ვინც წელან ჯერ მშვიდად უყურებდა, შველს როგორ ჰრიდნენ ყელს, ახლა კი ვითომ ნანობდა.

ვენახში შესულს მამის ხმამაღალი ლაპარაკი ესმოდა:

– ეგ არის კაცობა?! ეგ არის ადამიანობა?! მა მარგილით თავი არ უნდა გამეხეთქა იმ ღორისათვის?! სული რომ გამეფრთხობინებინა, განა გასამტყუნი ვიქნებოდი?!

ბიჭი ვაზებშუა მიდიოდა ნაღვლიანი, თავჩაღუნული.

# მგლები



# თქვენი თანატოლი ბიზნესმენი

შვიდი წლის იყო კარდიფელი (ინგლისი) ჯეიმს ჰარისი, როცა მშობლებმა უჩვეულო ნიჭი შეამჩნიეს. მაშინ, ჰარისების ოჯახი სრული გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა და სულ ულუკმაპუროდ რომ არ დარჩენილიყვნენ, ბიჭის მშობლებმა ნახმარი ნივთების პატარა მაღაზია გახსნეს. ჯეიმსს ფეხსაცმლის შესყიდვა დაევალა. მან იმდენად გონივრულად დახარჯა საამისოდ მიცემული ფული, რომ ათი პენსი მორჩა და იმით ფაიფურის პატარა ძროხის ყიდვაც შეძლო. ძროხას ხუთ პენსად ნაყიდი უცნაური საპილპილეც მოჰყვა (არ დაგავიწყდეთ – ჯეიმსი ამ დროს სულ შვიდი წლის იყო). ერთხელ მისტერ ჰარისმა საქმის მცოდნე ანტიკვარი მიიწვია, უნდოდა ერთი ძველებური ძეწკვი ეჩვენებინა და შეეფასებინებინათ. მაგრამ სტუმარმა ძეწკვს ზედაც არ დახედა, სამაგიეროდ ჯეიმსის ძროხა ოთხას ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგად შეაფასა, საპილპილე კი – ორასად. მერე მან ბიჭის დანარჩენი ავლადიდებაც დაათვალიერა და ათ ათას ინგლისურ გირვანქად შეაფასა იგი. სხვა ნივთებს შორის ანტიკვარმა ძველებური ეგვიპტური ქინძისთავიც აღმოაჩინა (ხუთ პენსად ნაყიდი) და ოქროს ძეწკვიც (ისიც ხუთ პენსად შეძენილი, გაწმენდის შემდეგ კი რვაას ორმოცდაათ გირვანქად შეფასებული). ათი წლისამ ჯეიმსმა საკუთარი ანტიკვარული მაღაზია გახსნა (ათი წლის ასაკში!) და ორმოცდარვა წლის თანაშემწე დაიქირავა. პატარა ანტიკვარს საუცხოოდ წაუვიდა საქმეები. 12 წლისამ კომერციული ინტერესების წრის გაფართოების მიზნით ბოუ-კეი, ყვავილების მაღაზიაც გახსნა. ანტიკვარიატიც და ყვავილებიც სილამაზის შეგრძნების უნარს მოითხოვს, როგორც ჩანს, ინგლისელ ყმაწვილს ეს ნიჭი უხვად აქვს მომადლებული, ისევე როგორც ნივთის ჭეშმარიტი ღირებულების ალღო. ანტიკვარული ნივთების უდიდესი ნაწილი ჯეიმსს ძველმანების ბაზრობებზე აქვს შეძენილი, სადაც ყოველ შაბათს დაიარება. ათასგვარი ნივთების გროვაში ბიჭი შეუცდომლად არჩევს ნამდვილად ფასეულს. XIX საუკუნის პატარა ქანდაკება „სილვიაც", დღეს რომ მისი განსაკუთრებული სიამაყის საგანია, ხუთ პენსად იყიდა 9 წლის რომ იყო, მაშინ. დღეს „სილვიას" 4 ათას გირვანქად აფასებენ. თერთმეტი წლისამ, რომ იტყვიან „ჩალის ფასად" არაფრის მაქნისი საიუველირო ნაკეთობების მომცრო ტომარა იყიდა. შინ რომ მიიტანა, იმ გადასაყრელ ნივთებში 24 კარატიანი ძველებური ოქროს ყელსაბამი აღმოაჩინა, რომელიც ორი დღის შემდეგ 9 ათას გირვანქად გაყიდა. „ჩვენ ყოველთვის გვქონდა ჩვენი საქმე, – ამბობს მისი ჰარისი, – ცხადია, რაღაც-რაღაცები ჯეიმსმა ჩვენგან ისწავლა, მაგრამ ძირითადად იგი ყველაფერს დამოუკიდებლად აკეთებს, საერთოდ ის მეტისმეტად დამოუკიდებულია, ისე აწარმოებს საქმეებს, როგორც თვითონ უნდა, ჩვენ არაფერში ვერევით. მამამისი რა ხანია, პატარა ბავშვივით აღარ ეკიდება და მეც შევეჩვიე..."

თანატოლი ბიჭებისგან განსხვავებით, რომლებიც სხვადასხვა წარწერებით აჭრელებულ, მჭყრალა ფერის მაისურებს იცვამენ, ჯეიმსს უზადო, მუქი ლურჯი ფერის კოსტუმი აცვია, „პეპელა" ჰალსტუხი უკეთია, უზარმაზარ მაგიდას უზის და ისე ღებულობს კლიენტებს. სხვა ბიჭებისგან მას მაღალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მანერები, კეთილშობილური მიხვრამოხვრა, თავდაჭერილი საუბარი, თავაზიანობა და ნატიფი გემოვნებაც გამოარჩევს. ბევრს ეს აღიზიანებს. სწორედ ამ მიზეზით აუხირდნენ თანაკლასელებიც, რომლებმაც ერთგვარი ბოიკოტი გამოუცხადეს, რის შემდეგაც მშობლებმა უბრალოდ გამოიყვანეს ჯეიმსი სკოლიდან და კერძო მასწავლებელი აუყვანეს. თავად ჯეიმსი ასე ახასიათებს საკუთარ თავს: „მე ძველი სკოლის ადამიანი ვარ, კორექტულობა მიყვარს, არ მიყვარს ჯინსი და საერთოდ ჩაცმა-დახურვის დაუდევარი სტილი, ექვსი წლიდან ვიცვამ კოსტუმს, ჰალსტუხსაც ამ ასაკიდან ვიკეთებ. მშობლები მეუბნებიან, დედოფალ ვიქტორიას ეპოქიდან ხარ, გეგონება, ღრმა მოხუცებულობამდე გიცოცხლია და მერე ბავშვად ქცეულხარო. რა ვიცი, შეიძლება, ასეც არის... ლონდონში პირველად რომ აღმოვჩნდი, სულ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ნამყოფი ვიყავი აქ. ალბათ მხოლოდ მაშინ გავიგებ, ასეა თუ არა, როცა მოვკვდები".

დატვირთული სამუშაო დღის მიწურულს ჯეიმსი საყვარელ სავარძელში ჯდება და... ქარგავს. დიახ, ქარგავს. „მე ძალიან მიყვარს ქარგვა და როგორც კი დროს გამოვნახავ, უმალ საქარგავს ვიღებ ხელში. ქარგვა ძალიან მამშვიდებს. როცა ვქარგავ, კარგად ვფიქრობ" – ასე ამბობს თავად ჯეიმსი. ცოტა ხნის წინათ ჯეიმსმა დაამთავრა წიგნი „ძონძებიდან სიმდიდრისაკენ", რომელიც, მისი აზრით, ადამიანებს ცხოვრებასა და საქმიანობაში უნდა დაეხმარაოს. ბიჭს ეცინება, დედა ძუნწს მეძახისო, მე კი უბრალოდ არ მიყვარს ფულის ხარჯვა, იმიტომ ვმომჭირნეობ, რომ უნდა გავმდიდრდე. ჩემი ცხოვრების სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად ბევრი ფული იქნება საჭირო. მე ჯერ პარლამენტის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი უნდა გავხდე, რათა ხალხმა კარგად გამიცნოს, მერე კი პრემიერ-მინისტრი გავხდები. დარწმუნებული ვარ, გაცილებით უკეთესი პრემიერ-მინისტრი დავდგები, ვიდრე მისის ტეტჩერი ან ჯონ მეიჯორი, ისინი მხოლოდ და მხოლოდ საღად მოაზროვნე გამყიდველები არიან, მე კი ბიზნესმენი ვარ...

# ცხრაკლიტული

1. სურათზე წარმოდგენილია ასტრახანის მიძინების ტაძარი, რით არის მნიშვნელოვანი ეს ტაძარი ჩვენთვის, ქართველებისთვის?



2. ვინ დააფუძნა პეტრიწონის (ბაჩკოვოს) ქართული მონასტერი ბულგარეთში?



3. თამარ მეფის რამდენი ფრესკული გამოსახულებაა შემორჩენილი და სად?

4. მოგვყავს ნაწყვეტი ლექსიდან:
,,სისხლს ღვრიდნენ გუთნისდედები,
ოფლს ღვრიდნენ მეციხოვნენი,
გუთნის ტარი და ხმლის ტარი
საჭეა ქართლის ცხოვრების''.
რა ლექსია ეს და ვინ არის მისი ავტორი?

5. როგორ გესმით ანდაზა: ,,ვინც სახლი აშენებული ნახა, ,,დედაბოძი თვითონ ამოვიდოდაო''?

6. სად არის დაკრძალული ქართველი პოეტი და დიპლომატი ბესიკ გაბაშვილი (ბესიკი)?

7. ვის კალამს ეკუთვნის ღვთისმშობლის დიდებული საგალობელი ,,შენ ხარ ვენახი''?

8. რა იცით ჰიმნოგრაფიული თხზულების ,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი''-ის ავტორის შესახებ?

9. სად არის აღმართული შოთა რუსთაველის ეს ძეგლი და ვინ არის მისი ავტორი?



# მოიმარჯვე ფანქრები, ფერები და ხატე

ყველაფერი თამაშით იწყება. თუ ხელთ პლასტილინი, ქაღალდი, ფანქარი ან ფერები გაქვთ, უეჭველად შეუდგებით მერწვას და ხატვას, ისე, გასართობად, თავის შესაქცევად. უთუოდ რაღაცასაც მოახერხებთ, მაგრამ ზოგი თქვენგანის ნამერწი ან ნახატი უკეთესი გამოვა, სხვებისაგან გამორჩეული იქნება. ასეთი ნახატისა ან ნამერწის ავტორს მეგობრები ხელად „მხატვრად“ მონათლავენ ხოლმე და მართლაც ასეთი ბავშვები ხშირად ნამდვილი მხატვრები ხდებიან. ხშირად და არა ყოველთვის. შესაძლოა რომელიმე თქვენგანმა მოსაწონი რამ დახატოს, ან ლექსი დაწეროს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მომავალში იგი უთუოდ მხატვარი ან პოეტი იქნება. გაივლის წლები, და შეიძლება თქვენი ცხოვრების მიზანი სულ სხვა რამ გახდეს, სულ სხვა საქმემ გაგიტაცოთ და დაგაინტერესოთ. აი, სწორედ ასეთი მხატვარია ათი წლის ვახტანგ სალაძე. იგი ნუცუბიძის აღმართზე ცხოვრობს თავის მშობლებთან, შოთასთან და დოდოსთან ერთად. ვახტანგის მამა მხატვარია, მხატვრები ჰყავს მეზობლებიც. არის ერთი ამბავი, მხატვრების მისვლა-მოსვლა, ახალი ნამუშევრების შეფასება, მოძველებულის გაკილვა, კამათი, შეჯიბრება, შრომა და უძილო ღამეები, ხვალის იმედი. მოდი და ნუ დახატავ, ჰოდა ათი წლის ვახტანგიც ხატავს, ხატავს. მაინც რას? ყველაფერს - ბუნებას, ცხოველებს, კეთილ და ბოროტ ადამიანებს... საათები საათებს მიჰყვება, დღე დღეს მისდევს, გადის დრო, ბიჭი იზრდება, კედლები კი ფერადი სურათებით ივსება. ხატვა



ვახტანგისთვის თამაშიც არის და საქმეც, საყვარელი საქმე. ფერების შეზავება, წითელი, მწვანე, ლურჯი, ნარინჯი, ყვითელი, იისფერი, თეთრი და შავი ლაქები ენაცვლება ერთიმეორეს, ივსება ქაღალდი უცნაური კაცუნებით, ურჩხულებით, სახეებით. ისინი პატარა მხატვრის ფუნჯით ცოცხლდებიან. იცინიან, ტირიან, მალაყზე გადადიან. ავტორი კი მათი ცხოვრებით ცხოვრობს, ეფერება და ესაუბრება მათ, ხანდახან უამრავ კაცუნას გამოჭრის მაკრატლით და მაშინ ყველანი ერთად თამაშობენ.

ბევრი ეუბნება ვახტანგს, უცნობიცა და ნაცნობიც, უთუოდ მხატვარი გახდებიო, მაგრამ ის ამას ყურადღებას არ აქცევს, ხატავს მაშინ, როცა არ შეუძლია არ ხატოს, დაძინების წინაც ხატავს, ბალიშის ქვეშიდან გამომძვრენილი ბლოკნოტის ფურცელზე. უნდა ყველაფერი გადაიტანოს ქაღალდზე - მონათხრობიც, წაკითხულიც და ნანახიც. როცა სხვანაირად არ შეგიძლია ალბათ ასე უნდა მოიქცე.

ჯერ კიდევ შორს არის ის დრო, როცა ვახტანგის თანატოლებმა ცხოვრებაში პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი უნდა გადადგან, აირჩიონ ის გზა, რომელიც მათი ცხოვრების მთავარ მიზანთან მიიყვანს. ეს რთული და მნიშვნელოვანი საკითხია, მითუმეტეს მათთვის, ვისაც ხელოვნების ტევრში მოუწევს გზის გაკვლევა. დაუღალავი შრომა, ასეთივე სწავლა მართებს ყოველ მომავალ ხელოვანს. ამასვე მოუწოდებენ მხატვრებს ძველი ოსტატები: „ექვსი წელიწადი უნდა ფხიკო, ზილო, მოამზადო, ტილო, ფერები, ივარჯიშო ხატვაში, შემდეგ კიდევ ექვსი წელიწადი დამოუკიდებლად ხატო და ამის შემდეგ შეიძლება გახდე მხატვარი“.

შენც გახსოვდეს, ვახტანგ, უძილო ღამეებისა და დიდი შრომის გარეშე სასწაულები არ ხდება. ნურაფერს შეუშინდები, ხატე. მოიმარჯვე ფერები, ფანქრები და ხატე. წინ გრძელი და საინტერესო გზა გიძევს.

ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მე ახლა ლექსს
ვწერ - არ ვიცი
ვისზე,
მე ახლა ვტირი
- არ ვიცი, ვისზე,
მე ახლა ვმღერი,
მე ახლა ვცეკვავ
- ნეტავი, ვისზე?
ააა... გამახსენდა
- საქართველოზე...

სალომე
კვიცარიძე
*თბილისი, №1
ექსპ. სკოლა,
VI კლასი*

## საქართველო

ამ ნისლიან
მწვერვალებს
და მოჩითულ
ველებს,
მოდუდუნე
მდინარეს,
ხევებს განახელებს,
საცალფეხო
ბილიკებს,
მარადმწვანე
ნაძვებს,
ტყეში ობლად
ამოსულ
ასკილსა და
ქაცვებს,
დროშას, მაღლა
ამართულს,
კოშკებსა და
ტაძრებს,
ზარზმას, აწყურს,
ციხეგოჯს,
წინაპართა
საძვლეს,
მოჩუხჩუხე ჩქერებს,
ცას, კრიალას,
მზიანს,
ამ ყველაფერს
ერთად
საქართველო ჰქვია.



## ზამთრის სურათი

შეშა ტკაცუნობს,
ჭრიჭინებს,
ამოდ ღუღუნებს
ბუხარი,
ფისო ხატულა
კრუტუნობს,
ცომს ზელს ბებია
გულქანი.
ფანჯრიდან მოჩანს
ფიფქები,
ძირს ეშვებიან
ტრიალით,
სადღაც, ხევს
ზვავი ჩაინგრა,
აქ ისმის მისი
გრიალი.
პაპა გზას კვალავს
თავლისკენ,
ძაღლი მურიაც
იქვეა,
ბაღლები თოვლში
გორავენ,
სიცივე მათ არ
იციან.
გათეთრებულა
გარემო,
შორით ხმა ისმის
ირმების,
ტყიდან ჩამოაქვთ
წვალებით
ხმელ ფიჩხით
სავსე ურმები.
შეშა ტკაცუნობს,
ჭრიჭინებს,
ამოდ ღუღუნებს
ბუხარი,
ფისო ხატულა
კრუტუნობს
ცომს ზელს
ბებია გულქანი.

ლელა
კედელაშვილი,
*სიღნაღის რაიონი,
ანაგის საშუალო
სკოლა,* IX *კლასი*



# საშობაო პერანგი

*ლეგენდა*

კარლეტის გამჭვარტლული მოზრდილი ქოხი დედაკაცებით იყო სავსე. ერთი მეორის შემდეგ შედიოდნენ, თოვლიან ტანისამოსს იბერტყავდნენ და ავადმყოფის საწოლისკენ მიდიოდნენ. რა უნდოდათ დედაკაცებს ამ ქოხში?

ამინდი საძაგელია, და არც იმისთანა საღამოა, რომ სტუმრად მოსულიყვნენ; - დღეს - კი შობის ღამეა, და ყველა სცდილობს ეს ბედნიერი დღე შინ გაატაროს.

დიდედა ბრიგიტა, თუმცა ძალიან დაღონებული იყო, მაგრამ ყველას ალერსით ეგებებოდა და ეტყობოდა, რომ სტუმრებს კიდევ ელოდა.

- ეს დედაკაცები რად მოსულან? - ჰკითხა ავადმყოფმა თავის დიდედას.

- შენი გულისათვის მოვიდნენ, ჩემო დორა; ამათ ,,საშობაო პერანგი'' უნდა შეგიკერონ.

ავადმყოფს იმედის სხივმა გადაჰკრა სახეზე. ბებრებისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ საშობაო პერანგს ბევრი მძიმე ავადმყოფი დაუხსნია სიკვდილისაგანაო.

პერანგი უნდა უსათუოდ შეეკერათ ცისკრისა და წირვის დროს, არამც თუ მარტო შეეკერათ, არამედ ყველაფერი უნდა მოემზადებინათ; უნდა გაეკეთებინათ სელი, დაერთოთ ძაფი, მოექსოვათ ტილო და ამავე ტილოსაგან პერანგი შეეკერათ. და ყველაფერი ეს წირვის გამოსვლამდის უნდა შეესრულებინათ.

- მოასწრობთ-კი? - შიშით იკითხა დორამ.

- რასაკვირველია... ხედავ, რამდენი ვართ, - ცოცხლად მიუგო დიდედამ.

მართლადაც, ბლომად მოგროვილიყვნენ დედაკაცები. ყველანი ბებრები იყვნენ: მხოლოდ ქოხის ბნელ კუთხეში ახალგაზრდა მემას ფერმკრთალი სახე მოსჩანდა.

სოფელში ყველამ იცოდა, რომ დორას და მემას ერთმანეთი უყვარდათ და ისიც გაეგოთ, რომ დიდედა ნებას არ აძლევდა დორას ღარიბი და ობოლი მემა შეერთო.

დიდედამ, როგორც კი გაიგო იმათი სიყვარული, ქალი სახლიდან გააგდო ლანძღვა-გინებით. მემამ, გაიგო თუ არა, დორას ,,შობის პერანგი'' უნდა შეუკერონო - გადასწყვიტა წასულიყო სხვა ქალებთან ერთად და ეშველა.

დადგა საღამო. ქარი დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა, თოვლი ჰბარდნიდა და გზას ეფინებოდა. ქალი დიდხანს იჯდა თავის ქოხში, ჩამქრალი კერის წინ, და ყოყმანობდა, წასულიყო იმ სახლში, საიდანაც გამოაგდეს, თუ არა. მერე უცებ წამოხტა, თავშალი მოიხვია და კარლეტას სახლისკენ წავიდა.

დიდედამ მსწრაფლ შეხედა მას და შემდეგ პირი იქით მიიბრუნა.

- აი, უკვე დალამდა, - სთქვა ერთმა მოხუცმა, როცა სასოფლო სამრეკლოზე ზარმა დაიგუგუნა. დედაკაცებმა მუხლი მოიყარეს და პირზე ხელები მიიფარეს.

ბუხარი-კი საამურად გუზგუზებდა და პირისფერს შუქსა ჰფენდა მაგიდებსა და საქსოვ დგიმს. კუთხეში სავსე ტომრები ეყარა. ოთახის სიღრმეში ლოგინი იდგა, რომელზედაც ავადმყოფი იწვა; სახეზე ტანჯვა და მწუხარება ეხატებოდა.

ზარი გუგუნებდა და გუგუნებდა - ხალხს იწვევდა.

ლოცვის გათავებისას ბებრები ადგნენ.

- აბა დროა, დავიწყოთ! - ბრძანების კილოთი სთქვა ბრიგიტამ.

დიდედამ სარკმელთან მიიყვანა დედაკაცები, მიუნათა ლამპარი, აჩვენა სელი. ამ სელისაგან უნდა მოექსოვათ და შეეკერათ ავადმყოფისთვის პერანგი.

მემამ ყველაზე მოზრდილ ტომარას წამოავლო ხელი და აქეთ გამოათრია.

დედაკაცებმა მოზიდეს ტომრები, ამოიღეს სელი და ჩეჩა დაუწყეს.

ყველამ სელის ნართები სკამზე დაალაგა.

- აბა, ახლა-კი სავარცხლებს მოჰკიდეთ ხელი და მარდად დავარცხნეთ სელი, - თქვა კარლოტამ, რომელიც ამ საქმეს მეთაურობდა.

მუშაობა სდუღდა. სკამების ბოლოზე ორ-ორი განიერი სავარცხელი გაამაგრეს და თვითოეული ქალი სცდილობდა საქმის დაწყებას. ოთახში ფუსფუსი ატყდა.

- წყნარად, წყნარად, მეზობელო! - მეთაურობდა კარლოტა. -შენ, კანდორა, ამ სავარცხელთან დადექ, შენ-კი პირდაპირ - მემა. მეორე სკამთან ბეტა დადგება. აი ასე - კეთილი! თქვენ ვარცხნეთ და მოგვაწოდეთ სელის ძარღვი, ჩვენ კი თითის ტარზე დავართავთ. გაჩეჩილ სელს რთვა დაუწყეს. ჯარა დატრიალდა.

- დიდედა, პერანგს მომისწრობთ? - მოისმა დორას მისუსტებული ხმა.

- მოგისწრობთ, შვილო, - ღმერთი მოწყალეა!..

დორას ხმაში საშინელი ტანჯვა გამოკრთოდა; დორას სიცოცხლე სწყუროდა და ეშინოდა - იმედი არ გასცრუებოდა.

ახლა კი კოჭებზე უნდა გადაეხვიათ, მერე დგიმზე უნდა გაებათ. სამუშაო კიდევ ბლომად იყო. ყველა ხმაამოუღებლივ და გულ-მოდგინედ მუშაობდა.

როდესაც ყველაფერი დაამზადეს, კარლოტამ მხიარულად სთქვა.

- მემა, ჩვენ ყოჩაღები ვართ!

კარლოტამ, ცოტა არ იყოს, სიამაყით შეხედა კარგად გაწყობილ დგიმ-სავა-

რცხელს.

მემა ძალიან კმაყოფილი იყო. ახლა ის მალვით-კი აღარ უყურებდა დორას, პირიქით – თამამად უღიმოდა. თუ „საშობაო პერანგი" რასმეს უშველის დორას, იგი მემას მადლობელი უნდა იყოს.

ბებრები მუშაობას თან-და-თან ჩამორჩნენ. ზოგნი ცეცხლის პირს ჩამოსხდნენ და თვლემა დაიწყეს.

– ჰაი, თქვენ ძილის გუდებო, თქვენა! – რა დროს თვლემაა: ჰა?! აბა, საქსოვს ვინ მიუჯდება? მე და მემა აღარა ვართ, ისე დავიქანცენით! ახლა თქვენი ჯერია, – სთქვა კარლოტამ.

სანამ დედაკაცები ყაყანებდნენ და საქმის დაწყებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ, მემამ მკვირცხლად მიირბინა ქარგასთან და მუშაობა დაიწყო. როდესაც რომელიმე ქალი სთხოვდა – ჩემ მაგიერ ახლა შენ დაისვენეო, მემა თავის ქნევით უარს ეუბნებოდა და უფრო ცოცხლად იწყებდა მუშაობას.

– შესანიშნავი მშრომელი ქალი დადგება მემა; ჩემ დღეში არ მინახავს ამისი მსგავსი, – ეუბნებოდა კარლოტა ბრიგიტას: – აკი გითხარი, უამისოდ ვერას მოვახერხებთ მეთქი.

ახლა-კი დიდედამ კეთილინება და თავი ოდნავ დაუქნია.

– რასა იქთ, როგორ მიდის საქმე, პერანგს მომისწრობთ? – აღელვებით იკითხა ავადმყოფმა.

– გაგითავებთ, გაგითავებთ! – თითქმის დარწმუნებით უპასუხა დიდედამ, – გესმის, უკვე ქსოვენ.

დგიმის ჯახა-ჯუხი გარკვევით ისმოდა. იშვიათად შესწყდებოდა ხოლმე ხმა, ისიც მაშინ, როდესაც მემა ძაფს კვანძს აცლიდა.

– უკვე ათი საათია; ორი საათიღა დარჩა შუაღამემდე; ამ დროისათვის ხალათი მზად უნდა იყოს!

– მოვასწრობთ, დრო კიდევა გვაქვს! – სიხარულით წამოიძახა დიდედამ. – მადლობთ შენ, უფალო!

მემაც ოდნავ გასაგონი ხმით ლოცულობდა.

სანამ ბებრები ქარგიდან ტილოს იღებდნენ, მემა ფერმიხდილი და მუშაობით მოქანცული მიჰყრდნობოდა კედელს. ნაღვლით აღსავსე თვალებიდან იმედის შუქი გამოჰკრთოდა.

ამასობაში კარლოტამ პერანგი გამოსჭრა.

– აბა, დიდედავ, ერთი ნემსები მოგვეცი. მე გვერდებს გავკერავ, როზალიამ კი სახელოები შეჰკეროს. ბებიამ სანემსე მიაწოდა. როდესაც ნემსები დაათვალიერეს, დედაკაცებმა სამი ძალიან მსხვილი ნემსი ამოარჩიეს, მაგრამ ერთ ნემსსაც ვერ გაუყარეს ძაფი, მიუხედავად იმისა, რომ ქალები ბევრსა სცდილობდნენ.

– ამაზე წვრილი ძაფი არ გექნება, ბრიგიტა? ეს ძალიან მსხვილია!

– მაქვს, მაგრამ იმ ძაფით უნდა შეიკეროს, რომელიც დღეს დავართეთ; ჩვენ-კი ამაზე წმინდა ძაფი არც ერთი აგება არა გვაქვს.

– მაშ რა ვქნათ?

დიდედა საშინლად გაფითრდა.

– რა გვეშველება? – უიმედოდ ამბობდნენ დედაკაცები. დიდედა ბრიგიტა სასოწარკვეთილებით ემუდარებოდა ქალებს, რომ რაიმე ხერხი ეხმარათ.

– საბრალო, ჩემო საბრალო დორა, – წუწუნებდა დიდედა.

ყველას შიში ეხატებოდა სახეზე; ამასთანავე იმათ ცუდი ნიშანი აწუხებდა. თუ ასე კარგად დაწყობილი საქმე ჩაიფუშა, სჩანს ღმერთს ასე სწადდა, და ყოველივე ცდა დიდი ცოდვაა.

მეზობლები თან-და-თან წავიდ-წამოვიდნენ.

ბრიგიტა მარტოდ დარჩა თავის მომაკვდავ შვილისშვილთან.

– ო, ქალწულო მარიამ, ჩვენო მფარველო! – წამოიკვნესა დიდედამ, ღვთის მშობლის ხატის წინ დაეცა და მხურვალედ დაიწყო ლოცვა.

დიდედა ლოცულობდა და მდუღარება ნაკადულად გა-




დმოსდიოდა თვალთაგან. ოთახში უცებ რაღაც ფაჩუნი მოესმა. დიდედამ თავი აიღო და დაინახა, რომ ვიღაცა ზის სკამზე და გამალებული მუშაობს.

– ვინა ხარ? – ჰკითხა დედაბერმა.

– მე ვარ, – წყნარად უპასუხა მემამ თავაუღებლივ.

დიდედამ მასთან მისვლა დააპირა, მაგრამ შერცხვა, რადგან მოაგონდა ის შეურაცხყოფა, რომელიც ამ თავგანწირულ ქალს მიაყენა. მერმე გული მოულბა და ალერსით შეხედა მემას.

– დიდედავ, ერთი სახელოს მიკერება-ღა მიკლია და პერანგი მზად არის, – აღელვებით წარმოსთქვა ქალმა.

– ნემსი სადღა იშოვე? – ჰკითხა დიდედამ.

– შინა...

ეს ისეთი კილოთი სთქვა, რომ თითქოს მისი „შინა" აქვე ახლოს ყოფილიყოს. ბებიამ კი კარგად იცოდა, სადაც სცხოვრობდა ქალი.

ერთი საათის წინ, როცა მემამ ნახა, რომ არც ერთ ნემსს ძაფი არ ეგება, მსწრაფლ თავშალი მოიხურა და სახლისაკენ მოჰკურცხლა. ფეხები თოვლში ეფლებოდა, ქარი თავშალს გლეჯდა, მაგრამ მემა მაინც მირბოდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა.

დედა სახლში არ დაუხვდა; ბნელაში მოძებნა მსხვილი ნემსი, გულზე გაირჭო და უფრო ჩქარა გამობრუნდა უკან. დიდის გაჭირვებით მოაღწია დორას სახლს. მარდად შევარდა ქოხში და კერვას შეუდგა.

ბებერი უსიტყვოდ შეჰყურებდა ქალს, რომელიც ერთ წამსაც არ ჰკარგავდა.

საყდრიდან გაისმა ზარის რეკვა.

– ეს „უკანასკნელია", დიდედო, – გაისმა საწოლიდან უიმედო ხმა.

ბრიგიტამ ვერც-კი მოასწრო პასუხის მიცემა, როცა წამოხტა მემა, აბერტყა თავისი ხელსაქმე და მხიარულად წარმოსთქვა:

– აი, უკვე მზად არის!

დორამ სიხარულით გაიღიმა.

– ქალო, მიშველე, თორემ მარტო ვერ ჩავაცმევ პერანგს, – სთქვა დიდედამ.

დორა წამოჯდა ლოგინზე, მაგრამ მისუსტებული ისევ გადაესვენა ბალიშებზე. შეგეცოდებოდათ ახალგაზრდა კაცი – ისეთი გამხდარი იყო. თრთოლამ აიტანა, სახეზე სიხარულის ალმურმა გადაჰკრა – იმედმა და ქალის სიახლოვემ მთლად გამოაცოცხლა.

– ოჰ, მემა, მემა, – ლუღლუღებდა იგი, როდესაც ქალებმა „საშობაო პერანგი" ჩააცვეს და საბანი წაახურეს.

დიდედამ თავი დახარა, პირჯვარი გადასწერა ავადმყოფს და ალერსით სთქვა:

– მართალია, დორა, ის რომ არ ყოფილიყო... მემა... მაგრამ ღმერთი მოწყალეა, მალე მორჩები. მე ორთავეს ერთნაირად შეგიყვარებთ.

ახალგაზრდანი სიხარულით შეჰყურებდნენ ერთმანეთს, და ცრემლები ღაპა-ღუპით სდიოდათ თვალთაგან.

*თარგმანი*
*თამარ*
*ქარბელაშვილისა*





ეროვნული ბიბლიოთეკა

*რაინდი - ეს არის ცხენთა გამწვრთნელიო, გვიხსნის საბა, განმარტებითი ლექსიკონი კი დასძენს, რომ რაინდი ფეოდალიზმის ეპოქაში სამხედრო-თავადაზნაურული წოდების პირს, მძიმე აღჭურვილ მხედარს ეწოდებოდა. მერე და მერე ამ სიტყვის თუ ძირითად მნიშვნელობასთან ერთად სიტყვას უფრო ფართო, გადატანითი მნიშვნელობაც შეეძინა, მათგან უმთავრესი კი ასე ჩამოყალიბდა – რაინდი, უაღრესად პატიოსანი, კეთილშობილი, უშიშარი, მოვალეობის ერთგული ადამიანი. აი ასეთი ღირსებებით შემკულ ადამიანებზე, რეალურად არსებულ, ისტორიულ პირებზე თუ ლიტერატურულ გმირებზე გვინდა გესაუბროთ ჩვენს ახალ რუბრიკაში „რაინდების კლუბი“, ხოლო საუბარს დიმიტრი ამილახვარით დავიწყებთ.*

# ყოველმხრივ შემკული

„დაიჩოქეთ მამაკაცებო! გაისმა სხარტი ბრძანება. აქამდე უჩინარმა პროჟექტორმა იქაურობა გაანათა და საბრძოლო მანევრების ველი დეკორაციას დაემსგავსა. გამოჩნდა კაზუარებსა (საფრანგეთის სამხედრო სასწავლებლების საპარადო თავსაბურავი) და თეთრ ხელთათმანებში – საპარადო ფორმაში გამოწყობილი 600 მუხლმოყრილი ახალგაზრდა სენ-სირელი (უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი საფრანგეთში).

კვლავ გაისმა ხმა:

– პოლკოვნიკი თავადი ამილახვარი...

მერე დაჩოქილ ახალგაზრდებს სამხედრო სასწავლებლისთვის ტრადიციული ბრძანება მოესმათ:

– ადექით... ოფიცრებო!

თითქოს ერთი კაციაო, ცისფერ-წითელი ხვალინდელი არმია ფეხზე აიჭრა და სმენაზე დადგა. პროჟექტორების თვალისმომჭრელმა სინათლემ ბნელ ღამეში უშველებელი თეთრი ზოლი მოხაზა, რომელზეც ამილახვართა საგვარეულო გერბი გამოისახა...“

ეს ცერემონიალი 1955 წელს გაიმართა, საფრანგეთის უმაღლესმა მთავარსარდალმა სენ-სირის იმ წლის გამოშვებისათვის ამილახვარის გვარი აირჩია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ეს გვარი 600 ახალ ნაკურთხი ფრანგი ოფიცრის მფარველი ანგელოზი და გზის დამლოცველი იქნებოდა. ახალგაზრდა ოფიცრებს სიტყვით მიმართა გენერალმა კატრუმ, რომელმაც ასე დაუხასიათა მათ თავისი თანამებრძოლი დიმიტრი ამილახვარი: „... იგი გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ღმერთმა იგი დიდი გულითა და ნათელი გონებით დააჯილდოვა; მისი მამაკაცური სილამაზე საოცრად ერწყმოდა სულიერ ზნეობას... მისთვის ბუნებით მომადლებულ სიკეთეთა შორის ყველაზე ძლიერი ერთგულება იყო; იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავის სამშობლო საქართველოსი; იგი ერთგული იყო საფრანგეთისა... სამხედრო სასწავლებლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, ვაჟკაცობითა და კეთილშობილებით გასხივოსნებული ადამიანის ცხოვრება ღირს იმად, რომ დღევანდელმა გამოშვებამ იგი კარგად გაიცნოს, კარგადაც გაიაზროს...“

დიმიტრი ამილახვარი 16 წლის ყოფილა, როცა მისი ოჯახი საფრანგეთში წასულა. 1924 წელს იგი სენ-სირის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხულა. ყოველმხრივ შემკული პიროვნება ყოფილა. მაღალი (1მ. 85 სმ), ტანადი, წელწვრილი, ლამაზი პირისახის, ცისფერთვალება, ოქროსფერთმიანი, გონიერი და გამჭრიახი ვაჟკაცი რაინდული სულითაც ყოფილა დაჯილდოებული და რა გასაკვირია, რომ მთელ სასწავლებელს ჰყვარებოდა. სენ-სირის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ, 1926 წელს უმცროსი ლეიტენანტი ამილახვარი ალჟირში, სიდი-ელ აბესში გაამწესეს. მოგვიანებით იგი სამხრეთ მაროკოს ოპერაციებში მონაწილეობდა. სწორედ ამ ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და საზრიანობისთვის 20 წლისას კაპიტნის წოდება მიენიჭა. ეს გაუგონარი ამბავი ყოფილა, რადგანაც ასე ახალგაზრდას და თანაც უცხოელს კაპიტნის წოდება მანამდე არავის მიეღო. იმხანად ქართველი დიმიტრი ამილახვარი ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი იყო მთელ საფრანგეთის არმიაში. ყველა ბრწყინვალე მომავალსა და კარიერას უწინასწარმეტყველებდა დიდად ნიჭიერ და ზნემაღალ ოფიცერს, მაგრამ ამისათვის მას აუცილებლად უნდა მიეღო საფრანგეთის ქვეშევრდომობა და უცხოურ ლეგიონში კი არა, ეროვნულში უნდა ემსახურა. დიმიტრი ამილახვარი მშვიდად ისმენდა ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა რჩევას და წინადადებას და ასევე მშვიდად

პასუხობდა, რომ ბოლომდე ერთგული დარჩებოდა თავისი ნამდვილი სამშობლოსი, სადაც უსათუოდ დაბრუნდებოდა მის მოქალაქედ, თუმცა არც საფრანგეთს უღალატებდა როდისმე.

მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, უცხოური ლეგიონი ნორვეგიაში იყო. აქ ამილახვარმა ურთულეს ვითარებაში წარმატებით დააგვირგვინა ოპერაცია, რომელსაც მე-13 ბრიგადის უკანდახევა უნდა უზრუნველეყო. მოგვიანებით ამ ბრძოლის მეთაური გენერალი მონკლარი იხსენებდა: ,,ამილახვარმა ისე ბრწყინვალედ წარმართა ჩვენი ზურგის დაცვა, რომ ტოტალურ განადგურებას გადაგვარჩინა‘‘.

ნარვიკთან გამართულ უმძიმეს ბრძოლაში კაპიტანმა ამილახვარმა კიდევ ერთხელ გააოცა თავისი ლეგიონერები. ტყვიამფრქვევების განუწყვეტელ კაკანში მთელი ლეგიონი ხოხვით მიიწევდა წინ. ,,ამილახვარი კი ფეხზე იდგა თავისი მოსასხამით და დურბინდით ისე აუღელვებლად აცქერდებოდა მტრის ბანაკს, თითქოს ჩვეულებრივ მანევრებზეაო‘‘. ლეგიონერებს კარგად ახსოვდათ, როგორ გაუხვრიტა კაპიტანს ბელ-აბესში ტყვიამ კაპიუშონის შვიდი ნაკეცი, მოსასხამი და კისერი ოდნავ გაუკაწრა. მაშინ იყო, რომ ამილახვარმაც და მისმა ლეგიონერებმაც დაიჯერეს, რომ ამ მოსასხამს მისი მფარველი ავგაროზის ძალა ჰქონდა. იმ დღიდან ამილახვარი მოსასხამს არ იცილებდა.

1940 წ. ამილახვარი მისი ლეგიონითურთ ინგლისში გადავიდა. იგი მტკიცედ ამოუდგა მხარში ორად გაყოფილი საფრანგეთის გათავისუფლებისათვის მებრძოლ დე გოლს და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა მას. ოკუპაციის წლებში დიმიტრი ამილახვარმა დატოვა მეუღლე (ირინე დადიანი), ორი პატარა შვილი და თავის ლეგიონთან ერთად იბრძოდა სირიაში, ლიბიაში, სამხრეთ ამერიკაში, მასუასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებისთვის დიმიტრი ამილახვარს, კვლავ გამონაკლისის სახით, პოდპოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს.

ამას მოჰყვა ბირ-აკეიმის ბრძოლა, რომელშიც უცხოური ლეგიონის საბრძოლო დროშა კიდევ ერთხელ შეიმოსა დიდებით. ამილახვარი ჩვეული სიმამაცით იბრძოდა: ,,მან გადააჭარბა ადამიანური შესაძლებლობების ყოველგვარ ზღვარს. დღედაღამ ჩვენ შორის იყო, წამითაც არ შეუსვენია. იძლეოდა ბრძანებებს, ამზადებდა კონტრშეტევას და თანაც მუდამ ბრძოლის ველის შუაგულში იმყოფებოდა‘‘ – იგონებდა



შემდგომში ამ სასტიკი ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე.

ბირ-აკეიმის შემდეგ ამილახვარი თავისი ლეგიონითურთ ელ-ალამეინში იბრძვის. მთლიან ოპერაციას ინგლისელი გენერალი მონგომერი ხელმძღვანელობდა. მან ყურად არ იღო ამილახვარისა და კენიგის მოსაზრებები და ბრძანების დამორჩილება მოითხოვა. მონგომერის გაუაზრებელმა გეგმამ უდიდესი საფრთხე შეუქმნა ჯარისკაცებსაც და ტანკებსაც. ამილახვარმა უდიდესი რისკის ფასად გაიყვანა თავისი ლეგიონი დანაღმულ მონაკვეთზე და სწორედ მაშინ ყველამ შეშფოთებით შენიშნა, რომ მეთაურს აღარც თავის მოსასხამი ჰქონდა და აღარც კაპიუშონი. ცუდად ენიშნათ. თვითონ ამილახვარმა კი არაფერი შეიმჩნია. მისმა ლეგიონმა დასახულ მიზანს მიაღწია, ბორცვი აიღო, მაგრამ გერმანელების ტანკებმა ცეცხლის რკალში მოაქციეს არტილერიის უქონელი ფრანგები და აიძულეს უკან დაეხიათ. პოდპოლკოვნიკი დინჯად ახევინებს ლეგიონს. ინგლისელებმა ჯავშნიანი მანქანა გაუგზავნეს და ბრძოლიდან გამოსვლა ურჩიეს.

– მე ჩემს ლეგიონერებთან დავრჩები, – ასეთი იყო პოდპოლკოვნიკ დიმიტრი ამილახვარის უკანასკნელი სიტყვები. 10 საათზე ყუმბარის აფეთქების შედეგად იგი სასიკვდილოდ დაიჭრა. ,,ასე, ბრძოლის ველზე დაიღუპა ადამიანი, რომელმაც დათრგუნა ყველა ადამიანური სისუსტე, ღირსეულად განვლო ხანმოკლე სიცოცხლე და არავის წინაშე არ დაუჩოქია. მან დაუჩოქა მხოლოდ ღმერთს, ლეგიონის დროშას, ახლა კი სასიკვდილოდ დაჭრილმა, მესამეჯერ ჩაიჩოქა ისე, რომ ვეღარ წამოდგა‘‘.

ასე დაიღუპა 1942 წლის 23 ოქტომბერს ეგვიპტის დასავლეთ უდაბნოში, ურ ლაბანის მახლობლად 36 წლის ქართველი თავადი, ფრანგი ოფიცერი დიმიტრი ამილახვარი, რომელმაც ,,ლეგიონი გააოცა და რომელიც ყოველგვარ ვითარებაში ღირსეული იყო თავისი გვარისა‘‘ (გენერალი მონკლარი).

ორი წლის შემდეგ კი, 1944 წლის დეკემბერში, შობა დღეს უცხოური ლეგიონის ხელმძღვანელებმა დიმიტრი ამილახვარის ქვრივი, ქალბატონი ირინე დადიანი მისი მეუღლის ხსოვნის საღამოზე მიიწვიეს. ქალბატონი ირინე და მისი შვილები სამხედრო მანქანით გაემართნენ საღამოზე. გზაზე ავტოკატასტროფა მოხდა და დაიღუპა ყველა, ბავშვების გარდა. დიმიტრი ამილახვარის ქალ-ვაჟი დღესაც ცოცხალია. თავად იგი კი ელ ალამეინის ფრანგულ სამხედრო სასაფლაოზე განისვენებს.



# მფრინავი ობიექტები, უცხოპლანეტელები, ჰუმანოიდები...

ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა გამოუცნობი მფრინავი ობიექტების სტუმრობა დედამიწაზე. მარტო გასულ წელს გმო-ს გამოჩენის 10 ათასზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. მეცნიერები, სხვადასხვა ქვეყნების არადედამიწისეულ ცივილიზაციებთან კონტაქტების შემსწავლელი ცენტრების სპეციალისტები გამოთქვამენ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შეიძლება გამოუცნობი მფრინავი ობიექტების ესოდენ ინტენსიური გააქტიურება იმაზე მეტყველებს, რომ უცხოპლანეტელები დედამიწელებთან ოფიციალური კონტაქტების დასამყარებლად ემზადებიან. ასეა თუ ისე, მფრინავი ობიექტები, ჰუმანოიდები, უცხოპლანეტელები დღეს საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. მათზე ტყუილსაც ბევრს წერენ და მართალსაც.

1950 წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა მწერალ ფრენკ სკალის წიგნი „მფრინავი თეფშების საიდუმლოებანი“. წიგნი ძალზე სწრაფად გაიყიდა. მისი წარმატების მიზეზი ადვილი გასაგებია – ავტორი ხომ ამტკიცებდა, აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებმა სამი მფრინავი თეფში იგდეს ხელთო. ყველაზე დიდი თეფში, სკალის რწმუნებით, ნიუ-მექსიკოს შტატში, ქ. აზტეკის მახლობლად უპოვიათ, მეორე, უფრო მომცრო – არიზონაში, მესამე კი პარადაის ველზე ჩამოვარდნილა იმავე არიზონას შტატში. მესამე დისკოში ორი დაღუპული ჰუმანოიდი ყოფილა (უფოლოგიურ ლიტერატურაში ჰუმანოიდებს იმ არსებებს უწოდებენ, რომლებიც მფრინავ დისკოებს მართავენ), დანარჩენ ორ თეფშში კი თექვსმეტ-თექვსმეტიო – აცხადებს მწერალი და აღწერს კიდეც ამ არსებებს. დედამიწელთა თვალში ისინი ჯუჯებად გამოიყურებოდნენ. მიუხედავად მკვეთრი შინაგანი და გარეგნული განსხვავების, ჰუმანოიდები მაინც ადამიანებს ჰგავდნენ. მათ ხომალდებზე საკვებისთვისაც მიუგნიათ – ვაფლის თუ გალეტის მსგავსი რაღაცისთვის. ჭურჭელში წყალიც მდგარა, რომელიც შემოწმებისას დედამიწისაზე ორჯერ მძიმე აღმოჩნდა. დაღუპულ პილოტებს შემოტმასნილი უსაყელო, უშესაკრავო და უღილებო კომბინეზონები ეცვათ. სხეული მურა ფერის ჰქონდათ, თითქოს გარუჯულები იყვნენო. დისკოებში ბევრი ისეთი საგანიც აღმოჩნდა, რომელთა რაობა და დანიშნულება ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, ისევე როგორც იეროგლიფებით აჭრელებული პერგამენტის მსგავსი ფურცლების ბუნება...



პირველ დისკოს არ აჩნდა არც შედუღების, და არც მიქლონვის არავითარი კვალი, ალუმინის მსგავსი, ოღონდ ბევრად უფრო მტკიცე და მსუბუქი ლითონისაგან ჩამოსხმულს ჰგავდა. ალმასის ბურღმა ნაკაწრიც კი ვერ დაამჩნია, 10 ათას გრადუსზე გახურებული ლითონი არ დადნა. ყველაზე დიდი დისკო თითქმის სულ არ იყო დაზიანებული, ეტყობა, იგი ჩვენი ავტოპილოტის მსგავსი მოწყობილობის მეშვეობით დაეშვა დედამიწაზე: დიდი ჯაფის შედეგად დისკო სეგმენტებად დაშალეს და დაღუპულ ჰუმანოიდებთან ერთად საიდუმლოდ გაღაიტანეს რაიტ-პატერსონის საავიაციო ბაზაზე, ქალაქ დეიტონის მახლობლად...

სკალის წიგნით აფორიაქებულმა მკითხველებმა უამრავი კითხვა დააყარეს ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობას, რომელმაც მათ დასაშოშმინებლად წიგნს მოდურ თემაზე დაწერილი იაფი სპეკულაცია უწოდა, თავად ავტორი კი სიცოცხლეს ბოლომდე ამტკიცებდა, ჩემს მიერ მოყვანილი ფაქტების უდიდესი ნაწილი სიმართლეაო.

მოგვიანებით, 1980 წელს გამოვიდა ჩარლზ ჰერლიცისა და უილიამ მურის წიგნი „ინციდენტი როზუელში“, რომელიც სამი ათეული წლის მანძილზე მფრინავი თეფშების თემაზე დაგროვილი მასალის განზოგადების ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს. წიგნში თავმოყრილია მფრინავი დისკოების კატასტროფებთან დაკავშირებული ეპიზოდები და ლეგენდები, მოცემულია ფაქტების უტყუარობის შემოწმების შედეგები, ახსნილია ლეგენდების საფუძველი:

ახალი წიგნის ავტორებმა სკალის წიგნში მოყვანილი ფაქტებიც გაიხსენეს, კერძოდ, 1948 წ. 2 ივლისს რანჩო „ფოსტერ პლეისის“ სიახლოვეს მისი პატრონის უილიამ ბრეიზელის მიერ აღმოჩენილი დაღუპული მფრინავი დისკოს ნარჩენების შესახებ. ნიუ-მექსიკელ ფერმერს ერთბაშად ატეხილი გრგვინვა ქექა-ქუხილი ეგონა და წვიმის მოლოდინში გახარებული ზეცას შეაჩერდა. მაგრამ მისდა საუბედუროდ, არ გაწვიმებულა, უბრალოდ მოულოდნელმა კაშკაშა სინათლემ გაანათა იქაურობა, მერე კი ერთბაშად ბინდი ჩამოწვა. მეორე დღეს დაფანტული ცხვრების საძებნელად წასული ბრეიზერი უცხო საგნებით მოფენილ ველზე აღმოჩნდა. ჯერ იფიქრა, თვითმფრინავი თუ ჩამოვარდა და იმის ნამსხვრევებიაო, მაგრამ საგნები ძალზე უცნაური ჩანდა. ფოლგასავით თხელი, მსუბუქი ნაგლეჯი ლითონისას ჰგავდა, მაგრამ ლითონი არ იყო, უმსუბუქესი აღმოჩნდა ძელაკიც, რომელიც ხისა გეგონებოდათ, მაგრამ არც ის გამოდგა ხის, ნამსხვრევები რაღაც იდუმალი ნიშნებით თუ იეროგლიფებით იყო აჭრელებული...

ნაცნობების რჩევით, ფერმერს ნაპოვნი ნამსხვრევები როზუელის სამხედრო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

საჰაერო ბაზაზე მიუტანია, იქ უნახავთ ისინი და ბრეიზელის მიერ მითითებულ ადგილზე სასწრაფოდ გაუგზავნიათ ხალხი და მანქანები...

მიწაზე უზარმაზარი ვერცხლისფერი ლითონის დისკო იდო. ქვიშაში ჩაფლულ ნაკერზე იყო გადახსნილი. შორიახლოს ათი წლის ბავშვის სიმაღლის, უთმო თავებით და პატარა თვალებიანი უცნაური სხეულები მოჩანდა. სხვადასხვა პოზაში გაქვავებული არსებები სახით ერთმანეთს ჰგავდნენ, ერთნაირი, კისრამდე დახურული ტანსაცმელი ეცვათ, რომელსაც არც საყელო ჰქონდა, არც ნაკერები და არც შესაკრავები, მთლიანად ჩამოსხმული გეგონებოდათ. დისკოს ჩაბნელებულ ხახაში სხვა სხეულებიც მოჩანდა...

თუმცა ყველა, ვინც შემთხვევით გადააწყდა მფრინავ დისკოს, მანამ, სანამ მას სამხედროები ზესაიდუმლო ბაზაზე გადაიტანდნენ, სასტიკად გააფრთხილეს, ნანახზე კრინტი არ დასძრათო, სენსაციური ამბავი ძალზე მალე გავრცელდა. სამხედროებმა რომ ვეღარაფრით მოიგერიეს აბეზარი ჟურნალისტები თუ ცნობისმოყვარე მოქალაქეები, მკვახე პასუხი გაავრცელეს, ყოველივე, რასაც დისკოს შესახებ ამბობენ და გადმოსცემენ მონაჩმახია და სხვა არაფერი, ჩამოვარდნილია მეტეოზონდი და არა სხვა რამ ობიექტიო.

უფოლოგები კი დარწმუნებულები არიან, რომ დისკო სეგმენტებად დაშალეს და მალულად ჩაიტანეს მიუროკის საიდუმლო ბაზაში. სწორედ იმ დღეებში (8-9 ივლისს) ამ ბაზისა და მიმდებარე პოლიგონის თავზე ოთხჯერ გამოჩნდა გამოუცნობი მფრინავი ობიექტები, მათი გაძლიერებული ინტერესი უფოლოგებმა იმით ახსნეს, რომ დისკოზე გადამცემი იქნებოდა, რომელიც თავისი ადგილსამყოფელის შესახებ სიგნალებს გადასცემდა. სულ კი, თურმე 1947 წელს აშშ-ს ცაში გამოუცნობი მფრინავი ობიექტების გამოჩენის 950 შემთხვევა დაუფიქსირებიათ, ხოლო მათგან ყველაზე მეტი ივლისის თვეზე მოდის.

გადიოდა წლები. მატულობდა მფრინავი თეფშებისა და მათი პილოტების მხილველთა რიცხვი. მაგრამ მათი მონათხრობი კვლავ საიდუმლო არქივებში ინახებოდა, ისევე როგორც ოფიციალური დოკუმენტაცია. თავისი თვალით უნახავს ჰუმანოიდები ფოტოგრაფ ნიკოლას ფონ პოპენს, რომელიც რომელიღაც ავიაბაზაში წაუყვანიათ და იქ უცნაური ლითონის დისკოს ნაწილები გადაუღებინებიათ ფოტოფირზე. თუმცა ფოტოგრაფისთვის ყველა გადაღებული ფირი იქვე ჩამოურთმევიათ და სასტიკადაც გაუფრთხილებიათ, ნანახის შესახებ არსად არაფერი წამოსცდენოდა, ფონ პოპენს მაინც მოუხერხებია ერთი კადრის გადარჩენა, რომელზეც მფრინავი თეფშის საერთო ხედი ყოფილა აღბეჭდილი, და ნანახის მოყოლაც. დისკოს კაბინას გუმბათისებრი ჭერი ჰქონიათ. პულტის ნაწილი ბერკეტებითა და ღილაკებით ყოფილა აღჭურვილი, ნაწილი კი გაუგებარი სიმბოლოებით ყოფილა აჭრელებული. პულტის წინ სავარძლებზე ქამრებით მიმაგრებული ოთხი უსულო პილოტი მჯდარა, მუქი ფერის, შემოტმასნილი კომბინეზონები სცმიათ. ბავშვებივით ტანმორჩილები ყოფილან, პატარა ხელები და აკურატულად დაჭრილი ფრჩხილები ჰქონიათ...

1987 წელს გამოჩნდა კიდევ ერთი სენსაციური წიგნი – ინჟინერ უილიამ შტეინმანის „გმო აზტეკში განიცდის ავარიას", რომელშიც ავტორი სკალის მიერ მოთხრობილ ამბავს უბრუნდება და თარიღების, სახელების, გეოგრაფიული წერტილების ზუსტი დასახელებით ხატავს მომხდარის სურათს.

დისკო 1948 წლის 25 მარტს ჩამოვარდნილა ქალაქ აზტეკიდან 12 მილის მანძილზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩამოვარდნამდე დისკო ერთდროულად სამ რადიოსალოკაციო სადგურს დაუჭერია და სავარაუდოა, რომ ერთ-ერთმა რადარმა წყობიდან გამოიყვანა დისკოს მართვის სისტემა. შტეიმანი ყვება, რომ კატასტროფის ადგილზე ცხრა სახელგანთქმული მეცნიერი ჩაუყვანიათ, რომლებისთვისაც წინასწარ ფიცი დაუდებინებიათ, რომ ნანახს საიდუმლოდ შეინახავდნენ. მეცნიერები დისკოში დაზიანებული ილუმინატორიდან შესულან. ისიც, დისკოს კორპუსის მსგავსად, თხელი, მტკიცე და გამჭვირვალე ლითონის ყოფილა.

კაბინაში სამართავ პულტთან ორი ჰუმანოიდი მჯდარა. დანარჩენი 12 შიდა ნაკვეთურებიდან ამოუყვანიათ. ჰუმანოიდების საშუალო სიმაღლე 42 დიუმი ყოფილა (მეტრი და ხუთი სანტიმეტრი). დიდი თავები, მსხვილი, ოდნავ ალმაცერი თვალები ჰქონიათ. ალბათ ამიტომ მიამსგავსეს ისინი მონგოლოიდებს. ცხვირ-პირი პატარა ჰქონიათ, სუსტი ტორსები და წვრილი კისრები. გრძელი ხელები თითქმის მუხლებამდე უწევდათ. თითებიც გრძელი, თხელი ჰქონიათ, თითებს შორის კი აპკები შეუმჩნევიათ. ჰუმანოიდებს არ აღმოაჩნდათ კუჭ-ნაწლავის ტრაქტი და სწორი ნაწლავი. მათ არც გამრავლების ორგანოები გააჩნდათ, სისხლი კი უფერული ჰქონიათ. [illegible] ოზონის სუნი ასდიოდა.

ვითომ ადამიანები იყვნენ ეს არსებები? ალბათ უფრო კიბორგები – კიბერნეტიკული ორგანიზმები, მანქანისა და ორგანული არსების ნაჯვარი, შორეული კოსმოსური მოგზაურობებისთვის განკუთვნილი რობოტები, რომლებმაც არც შიში იციან, არც დაღლილობა და არც ტკივილი.

სამი დღე გრძელდებოდა უჩვეულო ეკიპაჟის შესწავლა საველე პირობებში. სამხედროებმა სეგმენტებად დაშალეს დისკო, რომელიც თავიდან მონოლითად მოეჩვენათ, სეგმენტები სამ სატვირთო მანქანაზე დატვირთეს. უფონავტები სპეციალურად ჩამოტანილ კამერა-მაცივრებში მოათავსეს და ლოსალამოსში გაგზავნეს. აქაურ ანგარებში ეს ფანტასტიკური ტვირთი წელიწადზე მეტ ხანს ინახებოდა...

შტეინმანის წიგნის გამოსვლის დროისთვის ხსენებული მეცნიერებიდან აღარცერთი არ იყო ცოცხალი, და მაშასადამე, ვეღარც ვერავინ დაადასტურებდა ან უარყოფდა მისი მონათხრობის უტყუარობას, მაგრამ ფრენკ სკალისგან განსხვავებით, შტეინმანმა ჭკუა იხმარა და საკმაოდ ავტორიტეტული ფიზიკოსის, მრავალი საიდუმლო სამთავრობო პროექტის მონაწილე მეცნიერის, დოქტორ რობერტ სარბეჩემის წერილი წაუმძღვარა თავის წიგნს, რამაც კიდევ უფრო მეტი ფასი შესძინა მას.

და კიდევ ერთი შემთხვევა. კიბოთი დაავადებული ხანდაზმული ქალბატონი ნორმა გარდნერი გამოსტყდომია ვინმე ჩარლზ ვილჰელმს, რომელიც მეურნეობის გაძღოლაში ეხმარებოდა მას, ახლა როცა ცალი ფეხი სამარეში მიდგას, საიდუმლოს გამჟღავნებისათვის ვეღარავინ დამსჯისო და ადრე რაიტ-პატერსონის ავიაბაზაში ვმუშაობდიო. როგორც გამოირკვა, მისის გარდნერს საიდუმლო მასალებზე მიუწვდებოდა ხელი, ხოლო 1955 წელს მისთვის მფრინავ თეფშებთან დაკავშირებული საგნების აღწერა მიუნდვიათ. მის ხელში ათასზე მეტ ერთეულს გაუვლია. ყოველ მათგანს ნომრავდნენ, ფოტოფირზე აღბეჭდავდნენ და განსაკუთრებულ წიგნში აღნუსხავდნენ. ერთხელ ნორმა გარდნერს ანგარშიც კი შეუხედავს და მფრინავი დისკო დაუნახავს. ხოლო ერთხელ, დერეფანში რომ მიდიოდა, დაუნახავს, როგორ მიჰქონდათ ლაბორატორიაში ორი ჰუმანოიდის სხეული...



# იაპონური პოეზია

東海 五十三

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა პოეზიის სადღაც სამყაროში გიმოგზაუროთ; განზრახული გვაქვს გაგაცნოთ მსოფლიო პოეზიის საუკეთესო ნიმუშები და ეს ახალი განყოფილებაც იმიტომ შემოვიღეთ ჟურნალში;

უნაცნობისა იაპონური პოეზია; განუმეორებელი სისადავე, სიწრფელე, ბუნებრიობა და მშვენიერების განცდის სიღრმე ისევე გამოარჩევს მას, როგორც სრულიად თავისებური მხატვრული აზროვნება, საგანთა არსის გაგება და მსოფლჭვრეტა გამოარჩევს სხვათაგან თავად იაპონელს;

იაპონური სულის სიდაქიზე, განსაცვიფრებელი კრძალვა მშვენიერებისადმი იგრძნობა საუკუნეთა წიაღში მოძილ ლექსი „უტამიც", 31 მარცვლიან „ტანკაშიც" და სულ ციცქნა, 18 მარცვლიან „ხოკუშიც" („უტა", „ტანკა", „ხოკუ" – იაპონური პოეზიის ჟანრებია); თითოეული ლექსი თავისებური პოეტური მინიატურაა, დახატული ერთი დახვეწილი მოსმით. მწყაზარი მთვარის სვეტიან შუქზე, ზაფხულის წვიმებზე, ზამთრის სიმშვიდეზე, ალუბლებზე, ბულბულებზე, ყვავილებზე, მწვანე ბალახზე, მთებზეა ამ ლექსებში საუბარი, ხოლო თითოეულ მხატვრულ სახეში, თითოეულ სიტყვაში ჩაქსოვილი აზრი. სიბრძნე სიმშვიდესა ჭკვის ადამიანს, ყოველივეს წარმავლობას შეახსენებს და მამახსოვრებს, ამავდროსაც განარიდებს, უმაქნის ლექსისგან ათავისუფლებს მის სულსა თუ გონებას, ბუნებასთან, მშვენიერებასთან შერწყმისკენ უბიძგებს, გარდასულ ჟამთა ჭეშმარიტებებს შეახსენებს.

გთავაზობთ იაპონური პოეზიის რამდენიმე ნიმუშს. შესაძლოა, ყველა თქვენგანი ბოლომდე ვერც ჩაწვდეს მის სიღრმეს, მაგრამ განუმეორებელ მომხიბვლაობას რომ უთუოდ ყველანი იგრძნობთ, ეჭვი არ გვეპარება;

### ბერი დოგენი

გაზაფხულის ჟამს
ყვავილობა,
გუგული — ზაფხულ,
სთველში — მთოვარე.
ხოლო ზამთარში
თოვლი მსუსხავი და უწმინდესი.

### რიოკანა

ო, რაოდენი, რაოდენი ჟამი ეული
მე მოლოდინის
ფსკერზე ვიდოდი!
აჰა, ერთად ვართ...
რაღა დაგვრჩა საოცნებარი?

თარგმნა
ჯარჯი ფხოველმა

## X-XII საუკუნეების ტანკა

### უცნობი ავტორი

როგორ დავიპყრო მისი გული,
როგორ დავტოვო
ჩემს ახლოს იგი
მომზირალი მუდამ პირიქით.
ო, ალუბლებო,
ყვავილებით მიწა დათოვეთ,
დაფარეთ ჩემგან წასასვლელი
ყველა ბილიკი.

### მასა ფუსა

კვირტები ჩუმად გამოიღო
და ჰა, აყვავდა
მთის ფერდობებზე ალუბალი
მაღალი მთისა.
დასცალდეს ნეტავ
არ მობუროს ჩემთა თვალთაგან,
არ მომიჩრდილოს ჭალებიდან
ამღგარმა ნისლმა.

### ბერი ენკეი ხოსი

გაუქმებული ყრუ სადგომი,
ნაცრისფერი ცა
და ბჭეთა მიღმა სუროთი და
მწუხრით ჩამდგარი
უდაბურება...
— მაინც ჩუმად, ყოველ წელიწადს
ამ უკაცრიელ სამყოფლოსთან
მოდის ზამთარი.

### ბერად შემდგარი ფაზირთუხუცესი

ფიფქებივით რომ გაიფანტა
უეცარ თროთოლვით,



განა ყვავილთა ფურცლებია
ველად მარები.
დაბერებული,
ნაადრევი ჭაღარის თოვლით
ეს მე ვარ
წუთისოფლიდან რომ
მივენქარები.

### ონო-ნო კომატი

ტყე განიძარცვა,
ხმა დაიღო შრიალა ყანამ,
ვარდები დაჭკნა,
გულშიც ჩაქრა ცეცხლი უშრეტი
ვიდრე უქმი
და ნებიერი ვიდოდი წყნარად
და უზრუნველი წუთისოფელს
შორით ვუჭვრეტდი.

## XVI-XVIII საუკუნეების ხოკუ

ცის ლაჟვარდოვან დასავალზე
კენარი ფიჭვი
შემოდგომის მთვარემ დახატა.

* * *

რა მდუმარეა დღეს ეს ბაღნარი!
კლდეთა გულამდე გაჟონილა
ჩუმი ჭრიჭინი.

* * *

ეს ველები და მთა-გორები
შეუმჩნევლად გაქურდა თოვლმა...
დაცარიელდა უცებ მიდამო.

* * *

შემოდგომის წვიმა და მწუხრი!
ჩემთან კი არა,
მეზობლისას დაჰკეცეს ქოლგა.

* * *

აჰა, საცაა ხე წაიქცევა!
ზედ კი ჩიტები უზრუნველად
თხზავენ ბუდეებს.

* * *

ანკარა წყარო.
უხალთუნები ბრწყინავენ ფსკერზე...
მეზავრს მოწყურებულს შიგ ჩაბნევია.

თარგმნა
თამაზ ჩხენკელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოვს,

## თოვს, თოვს, თოვს... ანუ რამდენი სახის ფიფქი ცვივა ციდან

20635

დაზამთრდება. აცივდება. ჯერ მთაში ჩამოჰყრის თოვლს. მერე ბარშიც გათოვდება და თოვს, თოვს, თოვს. ფარფატებენ, ტრიალებენ ფიფქები, ნელა, მშვიდად, ჩუმად ეშვებიან მიწაზე, სახლებზე, ხეებზე... თუ მოგისწრიათ და მყისიერ დადნობამდე დაკვირვებიხართ ხელზე თუ ტანსაცმელზე დაცემულ ფიფქს, უთუოდ შეამჩნევდით რა უცნაურად ლამაზია იგი, ხოლო თუ მეორე, მესამე ფიფქისთვისაც შეგიდარებიათ, გაკვირვებით შეგინიშნავთ, რომ ისინი სხვადასხვა მოყვანილობისაა, ერთი ვარსკვლავს ჰგავს, მეორე – ფირფიტას, მესამე – ნემსს და ა.შ.

მაინც რა არის ფიფქი, რატომ არის ის ასეთი და არა სხვანაირი, როგორ ჩნდება იგი?

1611 წელს გერმანელმა ასტრონომმა ი. კეპლერმა გამოაქვეყნა თხზულება „საახალწლო საჩუქარი, ანუ ექვსკუთხა თოვლის შესახებ". თხზულებაში ლაპარაკია ფიფქების მოყვანილობაზე და იქვე დასმულია კითხვა: „რატომ არის თოვლი ექვსკუთხა?" კეპლერი თვითონვე პასუხობს ამ კითხვას: „ჩემთვის ეს ჯერ უცნობია". თუმცა მას შემდეგ თითქმის ოთხი საუკუნე გავიდა, სპეციალისტები იძულებული არიან დღესაც გერმანელი ასტრონომის პასუხი გაიმეორონ. სამაგიეროდ, დანამდვილებით არის ცნობილი ის, თუ როგორ წარმოიშობა თოვლის ფიფქები. თავიდან კრისტალიზაციის ბირთვების (უმცირესი უცხო ნაწილაკების) ირგვლივ წარმოიშობა ჩანასახოვანი ყინულის კრისტალები. ზევით-ქვევით გადაადგილებისას ისინი წყლის გაციებულ წვეთებიან ჰაერის ფენაში ხვდებიან და აქ მომავალი ფიფქები სუბლიმაციის ხარჯზე იწყებენ ინტენსიურ ზრდას, ამასთან ფიფქის ამობურცული მონაკვეთები უფრო სწრაფად იზრდება. ასე ჩნდება პირველდაწყებით ექვსკუთხა ფირფიტისგან ექვსქიმიანი ვარსკვლავი. გზადაგზა გადამეტცივებულ უმცირეს წვეთებს რომ ხვდებიან, ფიფქები ფორმას იცვლიან. ფიფქების შექმნასა და ზრდაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს და სწორედ ამიტომ არის მათი ამდენინაირსახეობა. საუკეთესო კოლექციებში 5 ათასი ერთმანეთისაგან განსხვავებული ფიფქის ფოტოსურათი ინახება, თუმცა სპეციალისტებმაც კი მხოლოდ მიახლოებით იციან, როგორ ასახავენ ფორმა და ზომა ფიფქის სიცოცხლის ისტორიას.

ცნობილია, რომ ფიფქები ჯერ კიდევ ჰაერში განუწყვეტლივ იცვლიან ფორმას. ამინდის პირობების მიხედვით

# თოვს,

სხვადასხვა ადგილებში „თავ-თავისი" თოვლი მოდის. მაგალითად, ბალტისპირეთში უფრო ხშირად თოვლი დიდი, განტოტვილი ფიფქების, ზოგჯერ კი ხაოიანი ფანტელების სახით მოდის. (ეს ჰაერის მაღალი ტენიანობით არის გამოწვეული). უკიდურეს ჩრდილოეთში კი ისეთი მაგარი თოვლი მოდის, რომ ცულს რომ დაჰკრავენ, ისე წკრიალებს, თითქოს რკინას მოხვდაო. 1944 წლის გაზაფხულზე მოსკოვში 10 სანტიმეტრის განივკვეთის ფანტელები მოვიდა. ციმბირში კი 30 სანტიმეტრის დიამეტრის თოვლიც მოსულა. იაკუტიაში ყინულის ნემსების თოვლს ხშირად „ალმასის მტვერსაც" უწოდებენ.

ფიფქი ძალზე მსუბუქია, იგი დაახლოებით ერთ მილიგრამს იწონის, იშვიათად კი – 2-3 მილიგრამს. დიდთოვლობისას მილიარდობით ფიფქს შეუძლია რამდენიმე საათში ხმელეთის უზარმაზარი სივრცეები დაფაროს ფაფუკი თოვლის საბნით, რომელიც ზოგჯერ იმდენად მძიმე საფარად გადაიქცევა ხოლმე, რომ შეუძლია დედამიწის ტრიალის სიჩქარეზე იმოქმედოს. მაგალითად, აგვისტოში, ყველაზე ნაკლებთოვლობის პერიოდში, როდესაც ჩრდილო ნახევარსფეროში ჯერ კიდევ ზაფხულია, სამხრეთში კი ზამთრის მიწურულია, თოვლით პლანეტის მთელი ზედაპირის 9,8 პროცენტი (44.10 კვადრატული კმ. ფართობი) იფარება, ხოლო ასეთი საფარი 840 მილიარდ ტონას იწონის. ზამთრის მიწურულს ჩრდილო ნახევარსფეროში სეზონური თოვლის მასა 13500 მილიარდ ტონას აღწევს, თოვლის საფარის ფართობი კი 05.10 კვადრატული კილომეტრს...მაშ ასე – თოვს, თოვს, თოვს... ხელთათმანიანი ხელი შეუშვირეთ და დაიჭირეთ ფიფქი, ოღონდ ცხვირპირზე ხელი აიფარეთ, რათა თბილმა სუნთქვამ არ დაადნოს იგი. ახლა კი გულდასმით დააკვირდით ყინულის კრისტალებს. რა? ფიფქი ვარსკვლავს ჰგავს? თუ ფირფიტას? იქნებ სულაც საკინძეს? არ გაგიკვირდეთ, ფიფქების შემსწავლელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ არსებობს ცხრა ძირითადი სახის თოვლის კრისტალები: ფირფიტა, ვარსკვლავი, სვეტი, ნემსი, ფუმფულა ზღარბი, საკინძე, გაყინული ფიფქი, ხორხოშელა. თითოეული ამ კრისტალთაგანი თავის მხრივ, კიდევ მრავალი სახისაა. მაგალითად, ვარსკვლავი შეიძლება სამქიმიანიც იყოს და თორმეტქიმიანიც, ზღარბი კი – ფირფიტოვანი, მილისებრი, ვარსკვლავისებრი... სულ კი ფიფქი ორმოცდარვა სახით, ვარიანტითა და კომბინაციით გვევლინება. ერთად შეერთებული ფიფქები კი ფანტელებს ქმნიან, რომლებიც ბამბის ფთილას მოგვაგონებენ.

# თოვს...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# კითხვა თქვენი

*მშობლებისგან გამიგონია, რომ მათი მოწაფეობის დროს სხვანაირი კალმისტარით წერდნენ, ბურთულიანი ავტოკალამი, ე.წ. „პასტა" კი, სულ ახლახან შემოსულა ხმარებაში. თუ შეიძლება გვიამბეთ ვინ გამოიგონა იგი?*

*ნანა კალანდაძე.*
*ქ. ბათუმი;*

*რატომ ანათებს კატის თვალები სიბნელეში?*

*გიგი ლაბაური,*
*მცხეთის რაიონი,*
*სოფ. საგურამო.*

# პასუხი ჩვენი

ბურთულიანი ავტოკალამი უნგრელმა ჟურნალისტმა ლასლო-იოჟეფ ბირომ გამოიგონა. ერთხელ სტამბაში ყოფნისას საროტაციო მანქანიდან გამოსული პრაქტიკულად გამშრალი საგაზეთო გვერდის დანახვაზე ასეთი აზრი მოსვლია: რატომ არ შეიძლება „მუდმივი კალმის" რეზერვუარის ისეთი მელნით ავსება, რომელიც ისევე სწრაფად გაშრება, როგორც ტიპოგრაფიული საღებავი? რამდენად ადვილი სახმარი იქნება ასეთი კალმისტარი თუნდაც ჟურნალისტებისთვისო, უფიქრია და უმალ იმასაც მიხვედრილა, რომ მელანი რაც შეიძლება სქელი უნდა ყოფილიყო და მაშასადამე, მისთვის ჩვეულებრივი ავტოკალმის კაპილარული სისტემა აღარ ივარგებდა. თავის ქიმიკოს ძმასთან მოთათბირების შემდეგ ბირომ კალამი თავისუფლად მოძრავი ბურთულით შეცვალა. ბურთულიანი კალმის პირველი საცდელი ნიმუში 1939 წელს შეიქმნა.



მეორე მსოფლიო ომის წინ უნგრეთში შექმნილი სიტუაციით შეშინებულმა ბირომ სამშობლო მიატოვა და ჯერ პარიზში გადასახლდა, სადაც თავისი გამოგონების პატენტი მიიღო, მერე ესპანეთში გადავიდა და ბოლოს 1940 წელს არგენტინაში დასახლდა. აქ მან იპოვა ფინანსისტი, რომელმაც ორიგინალური იდეისთვის სახსრები გაიღო. 1943 წელს კი ბიროს მიერ აშენებულმა მომცრო ფაბრიკამ პირველი ნაწარმი გამოუშვა. ახალი სახის კალმისტრის პირველი მყიდველები მფრინავები აღმოჩნდნენ, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ მანამდე არსებული ავტოკალმისგან განსხვავებით, ბურთულიანს თვითმფრინავის სიმაღლეზე ასვლისას მელანი არ გასდიოდა. აშშ-ს თავდაცვის სამინისტრო დაინტერესდა ახალი კალმისტრებით და საუკეთესო ფაბრიკანტებს დაავალა მათი გამოშვების ათვისება. ბირომ თავისი გამოგონება აშშ-ს პატენტით დაიცვა და ორ დიდ ფირმას მიჰყიდა თავისი ლიცენზიები.. მაგრამ ამასობაში მოხერხებულმა ბიზნესმენმა მ. რეინოლდსმა იმარჯვა, რომელმაც ყოველგვარი ლიცენზიის გარეშე დაიწყო ბურთულიანი კალმების გამოშვება. სასამართლოსგან კი მან იმით დაიხსნა თავი, რომ დაარწმუნა იგი, რომ მისი კალმისტარი ვინმე ჯ. ლაუდის მივიწყებული გამოგონების შემცირებული ასლი იყო და სხვა არაფერი. ბირომ არ მოინდომა უსინდისო მეტოქესთან ბრძოლა, საქმეს ჩამოსცილდა და ფერწერას მოჰკიდა ხელი. როცა 1945 წ. 19 ოქტომბერს ნიუ-იორკის ერთ-ერთ უნივერმაღში რეინოლდისეული კალმისტრების პირველი პარტია შეიტანეს გასაყიდად, რიგში წესრიგს 50 პოლიციელი იცავდა.

მიჩნეულია, რომ კატა უპირატესად ღამეული ცხოველია და ამიტომაც ბუნებამ იგი ღამე ხედვის უნარით დააჯილდოვა. რამე საგნის გასარჩევად კატას ადამიანზე ექვსჯერ ნაკლები სინათლე სჭირდება. ღამღამობით კატა ძალზე ფართოდ ახელს თვალებს, რომლებიც დღისით წვრილ ჭრილს წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ სიბნელეში ფართოდ გახელილი თვალის გუგა უფრო მეტ სხივს ატარებს, დღისით კი საამისოდ ვიწრო ჭრილიც იკმარებს, სინათლე ხომ საკმარისადაა.

რომ იცოდეთ, კატის თვალების ნათების საიდუმლო ძალზე მარტივია. სინამდვილეში ეს არის არეკლილი, უფრო სწორედ, მიმართულად არეკლილი სინათლე. სხივები კატის თვალის შიგნით სარკის მსგავს რაღაცაზე ხვდება, ეს სარკე პაწაწინა ვერცხლისფერი კრისტალების თხელი ფენაა. ეს კრისტალები ისე აძლიერებს გამოსახულებას, რომ კატის მწვანე თვალი შორიდან, ვთქვათ 90 მეტრის მანძილიდან ჩანს.



არეკლილი სხივების კონა პრაქტიკულად იგივე გზით ბრუნდება, რომლითაც თვალში შეაღწია. ამიტომაც თუ გინდათ, რომ ამ უცნაური ნათებით დატკბეთ, ეცადეთ, რომ თქვენი და კატის თვალები ერთ სწორზე აღმოჩნდეს.



# მსოფლიო კიდით-კიდემდე



## ჰოლანდია

ჰოლანდიელ მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა ააგო 20 მ. სიგრძის ნამდვილი წყალქვეშა ნავი. მის ასაგებად საჭირო თანხები ყმაწვილებმა თვითონვე გამოიმუშავეს, ფერმერებს მოსავლის აღებაში ეხმარებოდნენ და ისე. მაგრამ თვითნაკეთი ნავის დანიშნულების შესაბამისად გამოცდა ვეღარ მოხერხდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მას წყალქვეშ ჩასვლა აუკრძალა და მხოლოდ ზედაპირზე ცურვის ნება დართო.

## აშშ

ქალაქ განიბალში ყოველწლიურად ტარდება ტომ სოიერის დღე და იგი სახელმწიფოს ყველა შტატში საყოველთაო ზეიმით აღინიშნება. ამ დღეს ქალაქი, სადაც მარკ ტვენმა თავისი ბავშვობა გაატარა და სადაც მისი გმირები ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი ცხოვრობდნენ, XIX საუკუნის პროვინციულ ქალაქად იქცევა. აქაურ მაღაზიებსა და პატარ-პატარა სავაჭროებში იყიდება ზუსტად ისეთი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, ტომსა და ჰეკს რომ ეცვათ.



ზეიმის პროგრამაში შედის შეჯიბრება მესერის შეღებვაში (გახსოვთ, ალბათ, როგორ ღებავდა მესერს თავად ტომი), რომელშიც თითქმის ყველა განიბალელი გოგო და ბიჭი მონაწილეობს. გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში ანიჭებენ ტომ სოიერისა და ბეკი ტეტჩერის სახელებს, რომლებსაც ისინი მთელი წლის განმავლობაში ატარებენ.

## ბულგარეთი

რამდენიმე წლის წინათ ბულგარელმა მოსწავლეებმა სოფიის სიახლოვეს ნამდვილი ინდიელთა სოფელი გააშენეს - ქოხებით, ბელადის კარვით და სხვა დამახასიათებელი ატრიბუტიკით. ინდიელთა სოფელში თავიდან ერთ-ერთი სკო-



ლის ისტორიის წრის წევრები დასახლდნენ, მაგრამ სულ მალე მათ სხვა გოგო-ბიჭებიც შეუერთდნენ. მოგეხსენებათ, ინდიელთა ცხოვრება ბევრს იტაცებს, ისე რომ წამოწყებულ ტრადიციას შემდგომ თაობებშიც გამოუჩნდნენ გამგრძელებლები.

## ნორვეგია

ერთ მშვენიერ დღეს ნორვეგიის ერთ-ერთი გუბერნიის ესტფორდის მცხოვრებთ შენიშნეს, რომ მათი მიწა-წყლიდან გაქრნენ ბეღურები. რა უნდა დამართოდათო, დაფაცურდნენ, მიდგნენ, მოდგნენ გაიკითხეს და გამოარკვიეს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ბეღურების რაოდენობა მთელ ქვეყანაში ორჯერ შემცირებულიყო. და ეს მოხდა სახელმწიფოში, სადაც ეკოლოგიის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა ეთმობა ყველა დონეზე. შეშფოთდნენ ნორვეგიელები, განგაში ატეხეს. მთელი ქვეყანა ჩაება კამპანიაში „სპაროუ-ბეღურა", რომელიც გარემოს დაცვის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილად იქცა და ათი ათასობით ყმაწვილი დაირაზმა პატარა ფრთოსნების დასაცავად. ამ პროექტის ფინანსური დახმარება ნორვეგიის გარემოს დაცვის სამინისტრომ, ორნიტოლოგიურმა საზოგადოებამ და გაზეთმა „აღრესე-ავიასენმა" იდეს თავს.

## კოლუმბია

კოლუმბიის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა ომისა და ძალადობის თემაზე შექმნილი ყოველგვარი საბავშვო სათამაშოს იმპორტი, წარმოება, გაყიდვა და გამოყენება. ეს გადაწყვეტილება პირველ რიგში ამერიკული „ბოევიკების" გმირის, სუპერმენ რემბოს სახის იმიტაციას ითვალისწინებდა და თუმცა სათამაშო ტანკერის, რაკეტების, ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების მწარმოებელმა მსხვილმა კომპანიებმა სცადეს პროტესტი გამოეთქვათ, კოლუმბიის პარლამენტმა თავისი გაიტანა.

# ჯუნ რი
## ტაეკვონდოს დაუმარცხებელი გრანდოსტატი



დღეს მთელ მსოფლიოში, და მათ შორის საქართველოშიც, შეიმჩნევა აღმოსავლური ორთაბრძოლების სხვადასხვა სახეობებით გატაცება. ლამის არის კარატემ, უშუმ, აიკიდომ, ტაეკვონდომ და სხვებმა ადგილობრივი ტრადიციები დაავიწყოს ადამიანებს. თითქოს ამ გატაცებაში ცუდი არაფერი უნდა იყოს, თუ რა თქმა უნდა, იგივე უშუს თუ კარატეს მცნებაში ჩხუბის, სხვისი დამარცხების საშუალებას კი არა, პირველ რიგში, მათ ფილოსოფიურ საწყისს, განმწმენდ, გამკეთილშობილებელ ძალას დაინახავთ. გვინდა, სწორედ ამ მომენტზე მიგაქცევინოთ ყურადღება და ამიტომაც გადავწყვიტეთ გიამბოთ ძალზე საინტერესო პიროვნებაზე, ტაეკვონდოს დიდოსტატზე, კორეელ ამერიკელზე ჯუნ რიზე.

ჯუნ რი საბრძოლო ხელოვნების, ტაეკვონდოს გრანდ-ოსტატია, მის გარდა ამ ტიტულს მთელ მსოფლიოში კიდევ ორიოდ ადამიანი თუ ფლობს. აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ეს უმაღლესი წოდება ენიჭება არა მხოლოდ გამარჯვებებისათვის, არამედ პირველ რიგში თვალსაჩინო ორგანიზატორული ნიჭის, საბრძოლო ორთაბრძოლების არაძალადური ფილოსოფიის პროპაგანდისათვის.

კორეელი ჭაბუკი 1957 წელს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაშინ მას ჯიბეში 47 დოლარი ედო, დღეს კი ჯუნ რი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და შეძლებული ადამიანია. ყველაფერს თვითონ მიაღწია, ისე რომ იგი ტიპური ამერიკელია, რომელმაც „თავად შექმნა საკუთარი თავი“. მისი ცხოვრებისეული კრედოა: ადამიანი ბედნიერებისათვის არის დაბადებული.

რის სწამს ადამიანის განუსაზღვრელი შესაძლებლობები და უსასრულო თვითსრულყოფა, ანუ „თითოეული თვითონვე სჭედს თავის ბედს“, ჯუნ რი კი ასწავლის, როგორ უნდა სძლიოს ადამიანმა საკუთარ თავს, გადალახოს ცხოვრებისეული სიძნელეები, რათა ცალკე აღებულ პიროვნებაში მაინც მოხერხდეს ბედნიერი სამყაროს აგება.

რის პირველი წესია თვითდისციპლინა. იგი ქადაგებს: „ძნელია საკუთარ წესებს დაემორჩილო. ეს თითქოს პატარა, თუმცა კი საგრძნობი ტვირთია, რომელსაც მუდამ თან დაატარებ. გაუკეთებელის სინანულის ტვირთი კი არა ერთ ტონას იწონის“... ტაეკვონდოს ლოგიკით დისციპლინირებული ის ადამიანი კი არ არის, რომელსაც დასჯისა ეშინია. პირიქით, მეცადინეობებზე რი და მისი სკოლის ინსტრუქტორები არასდროს არ ეუბნებიან თავიანთ პატარა მოსწავლეებს: „შენ საძაგლად ვარჯიშობ, დატოვე დარბაზი!“ ის კი არა, ისინი დაშვებულ შეცდომაზეც კი არ მიუთითებენ, არამედ კიდევ და კიდევ აჩვენებენ, როგორ უნდა შესრულდეს ესა თუ ის ვარჯიში.

ტაეკვონდო თავდაცვის ხელოვნება და გარკვეული ცხოვრებისეული წესებია. ტაეკვონდო არაძალადობის, მუდმივი თვითგანვითარების, შინაგანი სრულყოფის ფილოსოფიაზეა დაფუძნებული. ტაეკვონდო საკუთარი თავის რწმენას, სხვების დახმარების უნარს აძლევს ადამიანს.

მსოფლიოში უმაღლესი მეათე დანისა და შავი სარტყლის მფლობელს, ჯუნ რის არასდროს გამოუყენებია თავისი ხელოვნება თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად. არავის შებმია და არავისთან უჩხუბია. რი ერიდება სახიფათო ადგილებს, ბარებს. მისი ორი ქალიშვილიდან ტაეკვონდოთი მხოლოდ ერთია გატაცებული, სამაგიეროდ ორივე შვილიშვილი მთელი სერიოზულობით ეუფლება ამ საბრძოლო ხელოვნებას. ისე კი ტაეკვონდოს სკოლის მოსწავლეთა 40 პროცენტს გოგონები შეადგენენ. იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ტაეკვონდო უხეში ძალა და დაბერილი კუნთები კი არა, მოქნილობა და საზრიანობაა. ჯუნ რი დარწმუნებულია: ფიზიკური ძალით ვერაფერს მიაღწევ, ვერავის დაიმორჩილებ. მთავარი ძალა ადამიანის შინაგან სამყაროშია. ამიტომაც დაამუშავა მან „ჩემპიონის შვიდი თვისება“, რადგან მიაჩნია, რომ: აბსოლუტურად ყველას შეუძლია გახდეს ჩემპიონი, ანუ გამარჯვებული, გახდეს ადამიანი, რომელიც წარმატებას აღწევს.

აი შვიდი თვისება იმ ადამიანისა, რომელსაც უნდა რაღაცას მიაღწიოს ცხოვრებაში:

1. იყავ ფხიზლად.
2. იყავ საქმის გამტანი და შეუპოვარი.
3. იყავ ზუსტი.
4. იყავ განათლებული და ერუდირებული.
5. იყავ გონიერი.
6. იყავ რბილი.
8. იყავ პატიოსანი.

ჯუნ რი დარწმუნებულია: „შეიძლება მოატყუო მშობლები და ნაცნობები, შეიძლება გააბრიყვო მასწავლებლები და ბიზნესის პარტნიორები. ერთადერთი, ვისაც ვერასდროს მოატყუებ,

შენ თვითონ ხარ. ამიტომ კიდევ ერთი რჩევა – ხშირ-ხშირად ჩაიხედე სარკეში. მაგრამ არა ქოჩრის გადასავარცხნად, თუ წამწამების შესაღებად, არამედ იმისათვის, რათა შეეცადო გაერკვე, როგორი ადამიანი· გიმზერს.

ხოლო იმისათვის, რომ ამ ადამიანს უფრო ბედნიერი და ხალისიანი ცხოვრება ჰქონდეს, ოსტატმა რიმ „ყოველდღიური ჯადოსიტყვები" მოიგონა. შეიძლება ერთი შეხედვით, ისინი გულუბრყვილოდ და სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ მერე და მერე მიხვდებით, რომ გაცილებით ღრმა რჩევებთან გაქვთ საქმე.

1. მე ჭკვიანი ვარ, იმიტომ რომ ყოველდღე რაღაც ახალს ვსწავლობ.
2. მე კარგი ვარ, იმიტომ, რომ არასდროს არ ვუშვებ შეცდომებს შეგნებულად.
3. მე მიყვარს საკუთარი თავი, იმიტომ, რომ აქტიური ადამიანი ვარ და გულხელდაკრეფილი არ ვზივარ.
4. მე ბედნიერი ვარ, იმიტომ, რომ მე ვარ ... – აქ საკუთარი სახელი უნდა დაასახელო.

თავად ჯუნ რი კი ყოველდღე წარმოთქვამს: „მე ბედნიერი ვარ, იმიტომ, რომ ჯუნ რი ვარ".

ჯუნ რის არამც და არამც არ ეთქმის ამერიკის საშუალო ადამიანი, რომელსაც წარმატებით მიუდის ბიზნესი. იგი უცილოდ გამოჩენილი ამერიკელია, თუმცა ტიპური ამერიკელის ბევრი ნიშან-თვისება მასაც გააჩნია. მაგალითად, როგორც უმრავლესობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იგი დარწმუნებულია თავის თავში. განსხვავება კი ის არის, რომ ზოგს ეს რწმენა გენეტიკურად დაჰყვა, ჯუნ რიმ კი თვითონ გამოიმუშავა იგი .და ახლა სხვებს ეხმარება მის გამომუშავებაში. ჯუნს კიდევ ერთი შესაშური თვისება გამოარჩევს: საკუთარი ძალებისა და უნარის საღი შეფასების უნარი, ეიფორიის უქონლობა, როცა გგონია, რომ შენ ხარ ყველაზე-ყველაზე-ყველაზე! უნდა ითქვას, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი თვისებაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მხოლოდ საკუთარი თავის იმედად ხარ. ყოველდღიური ჯადოსიტყვებით ტაეკვონდოს გრანდ-ოსტატი თვითტკბობისკენ კი არ მოუწოდებს, პირიქით, მისი მეთოდი ეხმარება ადამიანს სწორად შეაფასოს საკუთარი თავი, განსაზღვროს თავისი ადგილი ადამიანებს შორის.

თავის სკოლასა და ბიზნესმენების, კორპორაციათა ხელმძღვანელებისა და კომპანიების მფლობელებისთვის განკუთვნილ სემინარებზე ჯუნ რი კითხულობს ლექციებს ისეთ თემებზე, როგორიცაა – „საკუთარი თავისა და სხვების დარწმუნების ხელოვნება", „როგორ გამოვიყენოთ დრო ეფექტურად", „როგორ მოვიხსნათ სტრესები", „როგორ ვაკონტროლოთ რისხვა", „როგორ აღვზარდოთ კარგი შვილები" და სხვ.

ჯუნ რის სკოლაში ექვსი წლის ბავშვებიც სწავლობენ ხელმოკლე ოჯახებიდან და მულტიმილიონერებიც – მუჰა-





აშშ ექსპრეზიდენტი ჯორჯ ბუში

მედ ალი, ენტონი რობინსი, ჯენ ანდერსონი, სხვები, ყველა მოსწავლეს კი ოსტატი პირველ რიგში ეუბნება:

– სპორტულ დარბაზში თქვენ იმისთვის კი არ მოხვედით, რომ საბრძოლო ილეთები და ჩხუბი ისწავლოთ, არამედ იმისათვის, რომ უფრო სუფთები და უკეთესები გახდეთ. საკუთარ ძალებში დარწმუნებულ ადამიანს ნეგატიური კომპლექსები არ გააჩნია. მას არ სჭირდება სხვისი დამცირების ხარჯზე დაიმკვიდროს თავი.

ჯუნ რის სემინარებსა და სკოლაში ამერიკის კონგრესის ასამდე წევრმა გაიარა სწავლა-ვარჯიში და ყველა მათგანი უდიდესი მადლიერებით იხსენიებს მას, ისევე როგორც სხვა უამრავი ადამიანი, რომლებმაც მისი წყალობით თვითგანწმენდასა და თვითსრულყოფას მიაღწიეს. მათ შორის არიან ჯორჯ ბუში და რონალდ რეიგანი. ბევრი ჯუნ რის იცნობს ფილმებით „მდუმარე ოსტატი", და „დრაკონის ნესტარი", რომლებშიც იგი მთავარ როლებს ასრულებს.

მომავალი კიდევ ბევრჯერ გამოგიხმობს წარსულიდან

# გიორგი ქართველიშვილი



გ. ქართველიშვილი დაიბადა 1930 წელს თბილისში, ხელმოკლე ოჯახში. გიორგიმ თავისით გაიკვლია გზა, ვაჭრობას მიჰყო ხელი. დაუღალავი შრომით, ნიჭითა და გარჯით დიდძალი ქონება დააგროვა, რომელიც თითქმის მთლიანად უკეთილშობილეს მიზანს – ქველმოქმედებას მოახმარა. არცერთი საზოგადო საქმე არ წამოწყებულა იმხანად გიორგის ხელშეწყობისა და დახმარების გარეშე.

გიორგი ქართველიშვილს ყოველთვის აწუხებდა ქართული კულტურისა და წიგნის ბედი. იგი მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ივანე მაჩაბელთან, დიმიტრი ბაქრაძესთან. დიდად ახარებდა და აღელვებდა მას ქართული თეატრის აღორძინება, ამიტომ მის განვითარებაში დიდი წვლილი შეჰქონდა. გ. ქართველიშვილმა და მისმა მეგობრებმა ატენის ხეობაში ხის სახარში ქარხანა ააგეს, გორიდან ატენამდე რკინიგზა გაიყვანეს, ააგეს სადგურები, სახელოსნო, სატელეფონო ხაზი, მაგრამ, ერთ წლის შემდეგ საშინელმა ნიაღვარმა იჭაურობა მთლად წალეკა და მის მეპატრონეს აუნაზღაურებელი მატერიალური ზარალი მიაყენა. მიუხედავად ამისა, როცა უსახსრობის გამო გაზეთ ,,დროების'' დახურვა დაემუქრა, გ. ქართველიშვილმა საკუთარი თანხებით შეიძინა იგი. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ამ გაზეთმა ქართული კულტურის ისტორიაში.

1895 წელს გ. ქართველიშვილის სახსრებით გამოიცა ვახუშტი ბაგრატიონის ,,საქართველოს ისტორია''. როცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეიქმნა, იგი ამ საზოგადოების აქტიური წევრი გახდა, შემდეგ კი 5 წლის განმავლობაში, უსასყიდლოდ მუშაობდა მის ხაზინადრად. დიდად ზრუნავდა იგი ქართულ ეკლესია-მონასტრებზეც. 1894 წელს ხელახლა ააგეს დიდუბის ეკლესია, რომელიც როგორც იმდროინდელი პრესა იტყობინებოდა ,,დეკანოზ იმნაძის, მღვდელ ზედგინიძისა და აზნაურ გ. ქართველიშვილის საშუალებითა და საფასით აშენდა''. ასევე დიდია მისი ღვაწლი ქაშვეთის ეკლესიის აღდგენა-აღორძინების საქმეში.

ივანე მაჩაბლის რჩევით გ. ქართველიშვილმა ,,ვეფხისტყაოსნის'' მდიდრულად გამოცემა განიზრახა. ცნობილ მწერლებთან და მოღვაწეებთან ერთად გიორგი ქართველიშვილმაც სულითა და გულით მოჰკიდა ხელი ქართველთა ,,ხელიხელ საგოგმანები'' წიგნის ევროპულ დონეზე გამოცემას და ამისათვის დიდძალი თანხაც გაიღო. დასურათებისათვის ნიჭიერი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი მოიწვიეს. გ. ქართველიშვილის აზრით, ,,ვეფხისტყაოსანი'' დიდი ფორმატისა, ძვირფას ქაღალდზე და ინგლისურ ყდაში ჩასმული, სურათებითა და ავტორის პორტრეტით დამშვენებული უნდა ყოფილიყო. 1888 წელს დამთავრდა ,,ვეფხისტყაოსნის'' ბეჭდვა. წიგნი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე იყო შესრულებული: ძვირფასი ქაღალდი, ლამაზი შრიფტი. მორთულობანი, შესანიშნავი ილუსტრაციები. ეს გამოცემა არაერთხელ იქნა ექსპონირებული სხვადასხვა ქვეყნებში და ყველგან აღფრთოვანებას იწვევდა.

კიდევ ერთი დიდებული საქმე გააკეთა გ. ქართველიშვილმა, როცა ცნობილ ფოტოგრაფს ერმაკოვს შეუკვეთა საქართველოს ისტორიული ალბომი, რომელშიაც თავმოყრილი იყო საქართველოს მონასტრების და ეკლესიების კედლების ჩუქურთმებისა და ეკლესიური იარაღების სურათები. ალბომი ჩვენი სამშობლოს ისტორიისა და ხუროთმოძღვრების ამსახველ ძვირფას ნიმუშს წარმოადგენს, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და საინტერესო მასალას წარმოადგენს.

გ. ქართველიშვილი ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე იყო, ქველმოქმედი და მეცენატი, სამშობლოს ერთგული და მზრუნველი შვილი, მის ყოველ სატკივარსა და საფიქრალს მუდამ თავისად რომ აღიქვამდა.

დიდმა ერისკაცმა საქართველოს უკეთესი მერმისის მოლოდინში დალია სული. იგი გარდაიცვალა 1901 წელს თბილისში და დაკრძალულია დიდუბის ეკლესიის საკურთხევლის წინ, თავისი მეუღლის გვერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეტექტიური თავსატეხი



## შემთხვევა ბენზინის ჩასასხმელ სადგურში

ერთხელ ძია ალბერტი, რომელიც დიდი ხანი იყო რაც ცნობილი კომპანიის წარმომადგენლად მუშაობდა, მივლინებაში გაემგზავრა და თავისი ძმისწული გარიც თან წაიყვანა. ისინი ლონდონიდან უელსში უნდა ჩასულიყვნენ. მგზავრობა სასიამოვნო იყო, თუმცა მთელი დილა წვიმდა თერთმეტი საათის შემდეგ გამოიდარა. შუადღე იქნებოდა, როცა მოულოდნელად მანქანის ძრავას ცემინება აუტყდა.

– ეტყობა, ბენზინი გვითავდება, – დასკვნა ძია ალბერტმა, – თუ ერთ-ორ მილში ჩასასხმელი სადგური არ შეგვხვდა, გზაში დავრჩებით.

მაგრამ ბიძა-ძმისწულს ბედმა გაუღიმა. ჰორიზონტზე ავტომანქანების გასამართი სადგური გამოჩნდა: ძია ალბერტმა სადგურთან დაამუხრუჭა და საყვირი მისცა. ბენზინის ჩამომსხმელი გამოვიდა, გზადაზგა ხალათს იკრავდა.

– გეთაყვა, მთელი ავზი ჩაგვისხით, – სთხოვა ძია ალბერტმა.

ჩამომსხმელმა შლანგი აიღო და ბენზინის ავზის სახურავის ძებნაში მანქანის ფრთას დააცქერდა.

– ეს ,,ფორდია'', – შეახსენა ძია ალბერტმა – ნომრის ნიშანი დაბლა დასწიეთ და სახურავსაც დაინახავთ.

– დიდებული ჩამომსხმელია, ვერაფერს იტყვი, – ჩაილაპარაკა გარიმ, – ისიც კი არ იცის ბენზინის ავზის სახურავი სად ეძებოს.

– შეიძლება, პატრონს ლენჩი აქვს და ეს ახალგაზრდა სცვლის მას,– ვარაუდი გამოთქვა ძიამ.

– აქ თქვენ მარტო ხართ? – მიმართა მან ჩამომსხმელს.

იმან თავი დაუქნია, ისე რომ ბენზინის სვეტის ტაბლოზე აცეკვებული ციფრებისთვის თვალი არ მოუცილებია. გარის ჩამომსხმელი სადგურის შიგნიდან რაღაც ხმაური შემოესმა და ძიას მიაჩერდა, რომელიც ამ დროს ჩამომსხმელს მიუბრუნდა:

– თუ შეიძლება, ზეთი შეამოწმეთ.

ჩამომსხმელმა შლანგი ჩამოჰკიდა და სადგურის შენობაში გაუჩინარდა. გარი ამ დროს შენობის ჩრდილში იდგა. გავიდა რამდენიმე წუთი, ჩამომსხმელი კი არ ჩანდა, გარი შენობის გვერდით კედელზე ჩამოკიდებული გრიფელის დაფას მიუახლოვდა. დაფაზე ცარცით გარკვევით ეწერა: ,,ბრაუნთან დარეკვა''.

როგორც იქნა ჩამომსხმელი გამოვიდა. ხელში ჩვარი და ზეთის კანისტრა ეჭირა. ძია ალბერტმა უჩვენა სად იყო ჩასასხმელი ყელი და ვიდრე ის ზეთს ამოწმებდა, ძია ალბერტმა ტელეფონის აპარატი შენიშნა.



– ლენჩის დროს ხომ არ დავადგებით შემდეგ კლიენტს, – უთხრა მან გარის – დავურეკავ და გავაფრთხილებ, რომ ორ საათზე ჩავალთ.

ამის გაგონებაზე ჩამომსხმელმა ერთი შეუბღვირა ძიას და უთხრა:

– ბედი არ გქონიათ, აგერ უკვე ოთხი საათია, რაც ტელეფონი არ მუშაობს.

– ძალიან ცუდი, – ძია ალბერტმა ჩამომსხმელს სამი გირვანქა გაუწოდა. მან ფული შარვლის ჯიბეში ჩაიდო, ხურდის ამოსაღებად სალაროს უჯრა გამოსწია, მაგრამ იგი ცარიელი აღმოჩნდა. ჩამომსხმელმა სასწრაფოდ შესწია უჯრა.– კარგი, ხურდა დაიტოვეთ, – უთხრა ძია ალბერტმა ხურდას აღარ დაეძებდა, ოღონდ კი იქაურობას გასცლოდნენ.

გზაზე კაფეში შეიარეს, მაგრამ გარის ლენჩი უგემური ეჩვენა. ბენზინის ჩამომსხმელი გონებიდან არ გამოსდიოდა. რაც უფრო მეტ დეტალს იხსენებდა, იმთ უფრო საეჭვოდ ეჩვენებოდა იგი. თავისი ეჭვები ბიჭმა ძიას გაუზიარა, მაგრამ იმან მხოლოდ ჩაიცინა:

– შენ სულ რაღაცეები გეჩვენება! მაგრამ თუ ძალიან გინდა, შენ მეგობარს დეტექტივ ფოქსს დაურეკე. გარი ასეც მოიქცა. მალე კი მან თავის მეგობარი დეტექტივისაგან შეიტყო, რომ მისი დაკვირვებულობის წყალობით ორი ძებნილი ბოროტმოქმედი დაეკავებინათ.

ახლა კი გვიპასუხეთ: რა მიზეზებმა დააეჭვა გარი? გაითვალისწინეთ, რომ მიზეზი რვაა.

# იწილო-ბიწილო

სცადეთ ხელის ერთი მოსმით, ფანქრის მოუცილებლად დახატოთ ეს ჯამბაზი.



მოცემული ფიგურა ისე დაყავით 5 თანატოლ ნაწილად, რომ თითოეულ ნაწილში მოთავსებული რიცხვების ჯამმა ერთი და იგივე რიცხვები მოგვცეს.




ოთხმა ხურომ სახლის აშენება გადაწყვიტა. პირველ მათგანს ერთ წელიწადში შეუძლია მისი აშენება, მეორეს – ორ წელიწადში, მესამეს – სამ წელიწადში, მეოთხეს კი – ოთხში. საბოლოოდ ოთხივემ ერთად ააშენა სახლი. რამდენ ხანში ააშენებდნენ ისინი ჩაფიქრებულ სახლს?

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. ქვემეხის დაზგა, რომელზეც მაგრდება ლულა; 6. დაშინების ცდა; 9. ვექსილი; 10. მოხარშული და გადაზელილი ყველი; 12. ცირკის მოედანი; 13. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში; 15. კვამლიანი ალი; 16. მაღალხარისხოვანი თხის ტყავი; 21. ფრანგი მხატვარი პოსტიმპრესიონისტი; 22. ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღი კალოზე; 23. ბრჭყალი, კლანჭი; 25. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 26. ბგერათა ჰარმონია, თანაჟღერა; 27. საქმის კარგად მცოდნე, დახელოვნებული ადამიანი; 28. მართლმადიდებლური ეკლესიის უზენაესი საეკლესიო დაწესებულება.

**შვეულად:** 1. დეკორაციული ბუჩქი; 2.; ბუნების ბრმა ძალა; 3. სასიგნალო კოშკი ზღვის ნაპირზე ან კუნძულზე; 4. მუშაობის გეგმა; მოქმედების; 7. სარკმელი, სანათური; 8. ერთ-ერთი მდინარე ევროპაში; 11. წიგნი, რომელშიც ანბანზე გაწყობილი სიტყვებია ახსნილი; 14. მტაცებელი ფრინველი; 15. სოფელი ახალქალაქის რაიონში; 17. წნელისგან მოწნული მაღალი კალათი; 18. წარმოშობა, წარმომავლობა; 19. მარხრჩობელასებრთა ოჯახის გველი; 20. სამუსიკო ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი; 23. ფეხსაცმლის წაწვეტებული ცხვირი; 24. პოეტური ნაწარმოები, რომელშიც ასახულია ე.წ. „ბუნების შვილების" ცხოვრება.

# თავსატეხი



ესპანეთში ერთი ახირებული მონარქი მეფობდა. სმა-ჭამა და განცხრომა დიდად უყვარდა, სამაგიეროდ, სეირნობას, ნადირობას თუ ცხენით ჯირითს ერიდებოდა. მალე ისე გასუქდა ეს ჩვენი მეფე, რომ სამსაფეხურიან კიბეზე ასვლაც კი უჭირდა. არადა, ძალიან უყვარდა თავის ციხე-დარბაზის კოშკების სიმაღლიდან მზერა და საკუთარი სამფლობელოს სანახებით ტკბობა. ერთხელაც კარის ხუროთმოძღვარი იხმო და უბრძანა: „იცოდე, ისეთი ციხე-დარბაზი უნდა ამიშენო, რომ ზედა სართულებზე მოსახვედრად კიბეებზე ასვლა კი არ დამჭირდეს, არამედ ჩასვლა!"

დიდხანს იმტვრია ხუროთმოძღვარმა თავი და ბოლოს მაინც შეასრულა მეფის უცნაური სურვილი. როგორ მოახერხა მან ეს? სცადეთ, გაერკვეთ უჩვეულო ციხე-დარბაზის დაგეგმარებაში. გზას დასავლეთის კოშკის კარიბჭიდან გაუდექით და ამავე კოშკის ბანიდანვე გადმოხედეთ განვლილ გზას. არ დაგავიწყდეთ, რომ არამც და არამც არ უნდა აჰყვეთ კიბეზე, იარეთ მხოლოდ თავქვე.



# როკ ენციკლოპედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ჩვენს ახალ რუბრიკაში „ჩვენი როკ-ენციკლოპედია" მოგითხრობთ როკ-მუსიკის ისტორიის ფურცლებზე, მეტ-ნაკლებად ცნობილი კოლექტივებსა თუ შემსრულებლებზე, განგიმარტავთ ამა თუ იმ ტერმინს.*

## ა

აბბა – (ABBA) ამ შვედური კვარტეტის სახელწოდება მისი ოთხი მონაწილის სახელების პირველი ასოებისაგან შედგება: ანდერსონი (კლავიშიანი საკრავები, ვოკალი); ბიერნ ულვეუსი (გიტარა, ვოკალი); აგნეტა ფელსტკუგი (გიტარა, ვოკალი); ანი ფრიდ ლიუნგსტალი (ვოკალი). ჯგუფი 1973 წელს ჩამოყალიბდა, მომდევნო წელს კი სიმღერით „ვატერლოო" მან ინტერვიზიის კონკურსში გაიმარჯვა. უბრალო, მელოდიურმა სიმღერებმა პოპ-ვარსკვლავების სახელი და საკმაოდ მოზრდილი ჰონორარები მოუტანა აბბა-ს. მის სიმღერებს „ფერნანდო", „ფული, ფული, ფული" (1976 წ), „მე რომ გამიცნობ, შენს თავსაც გაიცნობ" (1978) კარგა ხანს ეკავა პირველი ადგილები ჰით-პარადებში. ეს სიმღერები ჩვენშიც პოპულარული იყო, ისინი დღესაც ბევრს მოსწონს და უყვარს. შვედური ჯგუფის საუკეთესო ფირფიტებად აღიარებულია „ვატერლოო" (1974 წ.) „აბბა" (1975 წ.), „ხომ არ გნებავთ?" (1979 წ.).



1984 წელს აბბა დაიშალა, მისმა წევრებმა სცადეს ცალ-ცალკე გაეგრძელებინათ მუშაობა, მაგრამ მეტ-ნაკლებ წარმატებას ანი-ფრიდმა მიაღწია, რომლის სოლო ფირფიტამ „რაღაც ხდება" (1982 წ.) საკმაო მოწონება დაიმსახურა.

*ალბომი* – (ინგ. Album – „ფირფიტების ალბომი")

მხატვრულად გაფორმებული კონვერტში შეფუთული ორი-სამი გრამფირფიტა, ალბომის სინონიმებია ტერმინები „დისკი", „ლონგპლეი". ალბომის გრამფირფიტებზე, როგორც წესი, ჩაწერილია ან დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოებები ან ერთი კონცეფტუალური იდეით გაერთიანებული მუსიკალური კომპოზიციები. ამგვარი ალბომების მაგალითია „სერჟანტ პეპერის მარტოხელა გულების კლუბის ორკესტრი", „ბითლზის" შესრულებით.

*არანჟირება* – (ინგ. Arrangemeent)

მუსიკალური ნაწარმოების გადატანა სხვა, დედანში მითითებულისგან განსხვავებული შემსრულებელთა შემადგენლობისათვის.

ჯაზში იმპროვიზაციასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა არანჟირებამ ტრადიციული ნიუ-ორლეანის ჯაზის წყალობით დაიმკვიდრა ადგილი. თანამედროვე ჯაზურ და პოპულარულ მუსიკაში არანჟირება საანსამბლო ან საორკესტრო ინტერპრეტაციის საერთო ჩანაფიქრის დამკვიდრების საშუალებას წარმოადგენს და იგი სტილისტური თვისებების მატარებელია. ამიტომაც იძენს არანჟირება ისეთივე საგულისხმო მნიშვნელობას, როგორიც აკადემიურ მუსიკაში კომპოზიციას აქვს. პოპულარულ მუსიკაში არანჟირების ავტორის როლი ძალზე დიდია. მისი ხელოვნების წყალობით მრავალმა მუსიკალურმა ნაწარმოებმა ახალი სიცოცხლე შეიძინა.

არანჟირების დიდოსტატებად არიან აღიარებული: გლენ მილერი, კვინსი ჯონსი, რეი კონიფი (ყველა – აშშ), ჯეიმს ლასტი (გფრ), ლადისლავ შტაიდლი, გუსტავ ბრომი (ორივე ჩეხეთი).

*არტ-როკი* – (ინგ. Art-rock)

ეს ტერმინი დაახლოებით ასე ითარგმნება –„როკ-მუსიკა როგორც ხელოვნება", „ინტელექტუალური როკი" და იხმარება როკ-მუსიკის იმ სტილის დასახასიათებლად, რომელიც ვირტუოზული დაკვრის მაღალ დონეს ინსტრუმენტალური და ვოკალური პარტიების, კომპოზიციური ფორმის სირთულეს, კლასიკური მუსიკის ზოგიერთი გამომხატველობითი საშუალების გამოყენებას, კლავიშიანი ელექტროსაკრავებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას გულისხმობს. პირველ რიგში კი არტ-როკი კომპოზიტორის მუსიკალური აზროვნების საშუალებაა, რომელიც კარგად უნდა ერკვეოდეს არა მარტო კლასიკაში, არამედ ჯაზშიც და მუსიკალურ ფოლკლორშიც. არტ-როკი 60-იანი წლების დამლევს ჩაისახა დიდ ბრიტანეთში, აღიარება კი მან 80-იან წლებში ჰპოვა, როცა მოხდა მის შერწყმა ჰარდ-როკთან. ამ სიმბიოზმა შემსრულებლებს ვირტუოზული ტექნიკა და 50-60-იანი წლების პოპ-მუსიკის კანონებიდან ერთგვარი გადახვევა მოსთხოვა. ამ ჟანრის სულ პირველი ნამუშევარი იყო ინგლისური ჯგუფის „კინგ-კრიმზონის" ალბომი „მეფე კრიმზონის კარზე" (1969 წ.). 80-იან წლებში ევროპაში გაჩნდა არტ-როკის მიმდევარი ჯგუფები: „ემერსონი, ლეიკი და პალმერი", „ფოკუსი", „ვან დერ გრააფის გენერატორი", ამერიკაში წარმატებით გამოდიოდა ჯგუფი „კანზასი".